ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს კ პ
ცენტრალური და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მეზღ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—13.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—14.000.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 10.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 267 სამშაბათი, 20 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 700,000 მ. ნ. № 267

დღიური

გერმანიის პროფკავშირების რეფორმისტულმა ხელმძღვანელებმა უარი განაცხადეს საერთო გაფიცვის დაწყებაზე.

დაპყრობილ ოლქებში ხდება სისხლისმღვრელი შეტაკებანი მუშებსა და პოლიციას შორის.

ელჩთა კონფერენციას ჯერ კიდევ არ გამოუტანია დადგენილება კრონპრინცის დაბრუნების შესახებ.

ბავარიის ფაშისტებს შორის განხეთქილებაა გერმანიაში მონარქისტული წესწყობილების აღდგენის საკითხში.

ჩვენი მხურვალე სალამი ახალგაზრდა მებრძოლთა გვარდიას!

გაუმარჯოს საქართველოს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს!

რევოლიუციის ახალი გვარდია

(კომკავშირის ექვსი წლის თავზე)

რევოლიუციის ახალი გვარდია,— საქართველოს კომუნისტური კავშირი დღესასწაულობს თავისი არსებობის, ბრძოლის და შემოქმედებითი მუშაობის ექვსი წლის თავს.

ეს მოკლე დრო, რომელიც თითქმის არაფერს ნიშნავს ცხოვრების ჩვეულებრივი, ევოლიუციონური მიმდინარეობის პერიოდში, მთელ ათეულ წლებს, მთელ ეპოქას უდრის მსოფლიო გარდატეხის პირობებში, რომლებშიც ჩვენ ვიმყოფებით.

ამით აიხსნება ის უდიდესი ნაყოფი, რომელიც გამოიღო კომკავშირის ექვსი წლის ბრძოლამ.

აღმოცენდა ეს კავშირი თებერვლის რევოლიუციის პირველ ხანებში, „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა კავშირი-სპარტაკი"-ს სახელით. მაშინ ამ ნორჩი ორგანიზაციის წევრთა რიცხვი თითებზე ჩამოითვლებოდა. დღეს კი ჩვენი კომკავშირი 17.000 წევრზე მეტს შეიცავს და მის გარშემო თავმოყრილია მთელი საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ისტორია შეგვიძლია გავყოთ ორ მთავარ ხანად: ერთია ჩვენი ქვეყნის გასაბჭოებამდე, მეორე კი მას შემდეგ.

თავისი არსებობის პირველ პერიოდში მას უდიდესი და გმირული ბრძოლის გადატანა მოუხდა, თავის უფროს ძმასთან, კომუნისტურ პარტიასთან ერთად.

უმძიმეს არალეგალურ პირობებში ის აწარმოებდა ფართე საორგანიზაციო და სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას საქართველოს ახალგაზრდობის შემოსაკრებად და მისი რევოლიუციონური მომზადებისათვის.

აქ ის აწარმოებდა ბრძოლას ორ ფრონტზე: იდეურ-ორგანიზაციულს ოპორტუნისტულ ახალგაზრდობასთან, ე. წ. ახალგაზრდათა მარქსისტულ ორგანიზაციებთან, რომელნიც სავსებით იმყოფებოდნენ მენშევიკების გავლენის ქვეშ; ამავე დროს ის ეწეოდა თავდადებულ რევოლიუციონურ ბრძოლას მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ და კომუნისტებთან ერთად ღებულობდა უშუალო მონაწილეობას რევოლიუციონურ გამოსვლებში მენშევიკების ბატონობის დასამხობად.

აგრეთვე ის უდიდეს მუშაობას ეწეოდა სოციალ-შოვინისტების მიერ დაშლილ ინტერნაციონალური სოლიდარობის აღსადგენად და გასაძლიერებლად სხვადასხვა ერთა ახალგაზრდობის შორის როგორც საქართველოს, ისე ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

მენშევიკური სატრაპებისაგან ჩვენმა რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამ ყველა ამისათვის იგემა უსასტიკესი რეპრესიები, დევნა, წამება.

მაგრამ ვერაფერმა გასტეხა მისი ნებისყოფა, და ბრძოლიდან ის გამარჯვებული გამოვიდა.

ჩვენში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. კომკავშირისათვის შეიქმნა მუშაობის ახალი პირობები, მას საშუალება მიეცა თავისუფლად გაეშალა თავისი ახალგაზრდული ენერგია.

მრავალმხრივია მისი მუშაობა ამ ახალ პირობებში.

ის უფრო ფართედ აწარმოებდა მუშაობას მთელი საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის დასაპყრობად, ამ მიზანს კიდეც მიაღწია. მისი დროშის ქვეშ დადგა ჩვენი ქვეყნის მშრომელი ახალგაზრდობა. ამ მიმართულებით „ახალგაზრდა მარქსისტების" დაშლა ღრმა მნიშვნელობის მოვლენაა, რომელიც კომკავშირის ბრწყინვალე გამარჯვებას მოასწავებს.

ამასთან კავშირი აწარმოებს ფართე პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობას. ის სისტემატიურად ებრძვის თავის წევრების და საერთოდ მშრომელ ახალგაზრდობის პოლიტიკურ და ტეხნიკურ უცოდინარობას, მასში შეაქვს კომუნისტურ-მარქსისტული შემეცნება. ეხლანდელი დრო მისთვის სწავლების დროა. ამ დროს ის სავსებით იყენებს პოლიტიკურ და მეცნიერულ ცოდნის შესაძენად, თავის საერთო კულტურულ დონის ასამაღლებლად.

კავშირი დიდ ყურადღებას აქცევს მშრომელ ახალგაზრდების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებასაც, ის მეცადინეობს მუშა-ახალგაზრდობის განსაზღვრული პროცენტის დასატოვებლად ფაბრიკა-ქარხნებში, მისი ხელფასის, სამუშაო დროის, შრომის პირობების და სხვა ასეთების მოსაგვარებლად.

გარდა ამისა, კომკავშირი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საერთო სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში.

კომკავშირს კარგად აქვს შეგნებული, რომ რევოლიუციის გამარჯვება, თვით მისი წარმატება ცხოვრების ყოველ სფეროში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ უზრუნველყოფილი იქნება საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობა. ეს კი მოსახერხებელია პირველყოვლისა იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა ხელისუფლებას ეყოლება საიმედო შეიარაღებული ძალა—წითელი არმიის და წითელი ფლოტის სახით.

კომკავშირი თავის საუკეთესო ძალებს გზავნის წითელ არმიაში და სამხედრო სასწავლებლებში.

მანვე მიიღო შეფობა წითელ ფლოტზე და იქ თავის წრიდან გაგზავნა მრავალი ახალგაზრდები მეზღვაურად.

ასეთია კავშირის მიერ განვლილი გზა. ექვსი წელი მან დაუღალავ რევოლიუციონურ ბრძოლაში და აღმშენებლობითი მუშაობაში გაატარა.

მიღწეული შედეგებით მას შეუძლია იამაყოს.

მომავლისათვის უდიდესი ამოცანები იშლება მის წინაშე.

მოახლოვებულ მსოფლიო რევოლიუციას ის ხვდება დარაზმული და მომზადებული.

მისი ბრწყინვალე წარსული თავდებია იმის, რომ მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებში მსოფლიო ბურჟუაზიასთან, ის შეიტანს თავის წვლილს, როცა ეს საჭირო იქნება.

შინ კი გააგრძელებს დაწყებულ პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობას ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

ძველ გვარდიას—კომუნისტურ პარტიას ყავს საიმედო რეზერვი, რომელიც ღირსეულად შესძლებს მისი ადგილის დაკავებას ყველა პოზიციებზე.

გაუმარჯოს რევოლიუციის ახალ გვარდიას, კომუნისტურ კავშირს.

ვშირებს 17 ათას წევრს, რომელშიაც შედის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის საუკეთესო, შეგნებული ნაწილი. ერთი სიტყვით, ჩვენმა რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამ ბევრი რამ გააკეთა. მან საკმაოდ დაღვარა სისხლი, გაიღო მრავალი მსხვერპლი ძველი წესწყობილების დასანგრევათ. ეხლა მის წინაშე წამოჭრილია უფრო ძნელი და რთული ამოცანები. საჭიროა ახალი კომუნისტური საზოგადოების შექმნა; ამას წინ ეღობება ძლიერი მტერი—საერთაშორისო კაპიტალიზმი, რომელიც ერთის მხრით, შეიარაღებულია ჯავშნოსნებით, ზარბაზნებით, ტანკებით, ჰაეროპლანებით, მხრჩოლავი გაზებით, ხოლო მეორე მხრით — სარგებლობს უფრო უკეთესად მოწესრიგებულ წარმოებით და უფრო იაფი საქონელით. გაიმარჯვებს ის, ვისაც წარმოება უკეთესად აქვს დაყენებული, ვისაც ნაწარმოები იაფი აქვს, ვინც უკეთესად მოაგვარებს მეურნეობას და თავის ინტერესების დაცვას. ამის მიღწევა კი შესაძლებელია თანამედროვე მეცნიერული ცოდნის შეძენით, ამისათვის საჭიროა შეთვისება ყველა იმ გამოსადეგ მიღწევების, რომლებიც დაგროვებულია კაცობრიობის აზროვნების მიერ. მარტო შეთვისებაც არ კმარა: საჭიროა მათი გაკრიტიკება, შემოწმება ცხოვრებაში, ფაბრიკაში და ქარხანაში, გამოყენება წარმოებაში, დახელოვნება, საჭიროა ბურჟუაზიული მეცნიერების, კულტურის და ტეხნიკის დიდი მარაგიდან ამორჩეული იქნეს ის ჯამი ცოდნათა, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ახალგაზრდობისათვის კომუნიზმი იყოს არა ზერელე რამ, დაზეპირებული, არამედ მოფიქრებული, დამუშავებული და შემოწმებული ბრძოლასა და შრომაში. თავის ცოდნის, აღზრდის და განათლების ყოველი ნაბიჯი ახალგაზრდობის კომკავშირის წევრმა უნდა დაუკავშიროს ექსპლოატატორების საწინააღმდეგო ბრძოლაში ყველა მშრომელთა მონაწილეობას. სწავლა, შრომა, ბრძოლა—აი რა უნდა შეადგენდეს ახალგაზრდობის კომკავშირის წევრის ცხოვრებას. პარტიის ყველა მორიგი ამოცანები: ბრძოლა ახალი ცხოვრებისათვის, ბრძოლა უკულტურობასთან, უმეცრებასთან, ცრუმორწმუნეობასთან, ბრძოლა ქალაქის და სოფლის კავშირის საბოლოოთ განმტკიცებისათვის—ყველაფერი ეს ამავე დროს უნდა შეადგენდეს ახალგაზრდობის კომკავშირის წევრის ამოცანას. მისი ძალების საშუალებით პარტია უფრო ადვილათ გაატარებს თავის ღონისძიებებს. ამას გარდა ჩვენი ახალგაზრდობის კომკავშირის წევრებმა იკისრეს დიდი პასუხისმგებლობა, მათ იკისრეს სერიოზული სამსახურის გაწევა სახელმწიფოსათვის ბავშვთა და მცირეწლოვანთა სოციალური კომუნისტური აღზრდის საქმეში. ეს მუშაობა, ვიმეორებ, ძლიერ რთულია.

თუ იმისათვის, რომ წარმატებით სწარმოებდეს წითელ არმიაში მუშაობა, საჭიროა წითელარმიელის ყოფა-ცხოვრების, მისი მოთხოვნილებების კარგად გაცნობა, საჭიროა გათვალისწინება ახალგაზრდა წითელარმიელის ცოდნის განვითარების სხვა და სხვა ფაზების, ამგვარათვე მნიშვნელოვანი და აუცილებელია ის, რომ ახალგაზრდობის კომკავშირის წევრი, რომელიც კისრულობს მუშაობას გლეხებს შორის, კარგათ იცნობდეს გლეხთა წრეს, მის ფსიქოლოგიას, მის უნდობლობას ქალაქისადმი და სწორათ უდგებოდეს მას.

მარტო აგიტაციით ეხლა სოფელში არაფრის გაკეთება არ შეიძლება. იქ საჭიროა წასვლა ცოდნის და გამოცდილების დიდი მარაგით აგრონომიის, სასოფლო მეურნეობის, ადგილობრივი რაიონის საჭიროებათა სფეროდან. ახალი ცხოვრებისათვის საბრძოლველათ საჭიროა საკმაო ცოდნა ბუნების, ისტორიის, ადამიანის სხეულის, ცოტა რამესი მედიცინიდან, განსაკუთრებით ეპიდემიის და მასთან ბრძოლის საშუალებების. ბავშვებთან მუშაობისათვის კი საჭიროა ფართო ცოდნა პედაგოგიკის, პსიქოლოგიის, დაკვირვებათა და თვითდაკვირვებათა სათანადო მასალა, რათა სისწორით იქნეს ბავშვის გაგება და მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

თვითეულ პარტიულ და საბჭოთა ორგანოს და ყველა მუშათა ორგანიზაციებს უნდა ესმოდეთ ახალგაზრდობის კომკავშირის ეს დიდი და ძნელი მუშაობა და ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს ამ საკითხის სისწორით გადაჭრას; საჭიროა მომავალში ახალგაზრდობის კომკავშირს გაეწიოს ყოველმხრივი მატერიალური და კულტურული დახმარება სახალხო განათლების საუკეთესო სისტემით, კლუბებით, თეატრით, წიგნებით და სხვ.

მთელი წარსული ცხოვრება ახალგაზრდობის კომკავშირის, მისი მუშაობა, ბრძოლა და მიღწევანი, აგრეთვე ის სიყვარული და პატივისცემა, რომლითაც ის სარგებლობს ჩვენი პარტიის მხრივ, მოწმობს იმას, რომ მომავალში ჩვენი ახალგაზრდობის კომკავშირი შეიარაღდება იმ ცოდნით და ღირსებით, რაც საჭიროა რევოლიუციისათვის, მსოფლიო ექსპლოატატორებზე საბოლოოთ გამარჯვების მოსაპოებლად!

სალამი ჩვენს რევოლიუციონურ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას!

გაუმარჯოს მას ხელმძღვანელს—ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს, კომინტერნის სახელოვან მებრძოლ რაზმს!

მარიამ ორახელაშვილი.

საქართველოს ახალგაზრდობის სახელოვანი კომუნისტური კავშირის 6 წ. თავის გამო

დღეს სრულდება საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სახელოვანი არსებობის ექვსი წლის თავი. დღეს კავშირი ჯამს უკეთებს თავის მუშაობას და უმარტავს და უჩვენებს თავის წევრებს იმ ახალ ამოცანებს, რომლებიც დასმულია მის წინაშე ოქტობრის რევოლიუციის ახალ ფაზასთან დაკავშირებით.

ახალგაზრდობის კომკავშირი—ეს არის ოქტომბრის რევოლიუციის ღვიძლი შვილი, შვილი, რომელიც იშვა, აღიზარდა და დავაჟკაცდა ოქტომბრის დამარცხება-გამარჯვებათა და გაფთრებული ბრძოლის ქარტეხილში. მასში არის ჩასახული დიადი ოქტობრის ყველა მოვლენები. ის ეწყობა მუშათა და გლეხთა დიქტატურის მოთხოვნილებების მიხედვით. აქედან ცხადია, რომ ყველა ის პერიოდები, რომლებიც გაიარა ჩვენმა პარტიამ ოქტომბრის რევოლიუციის ხელმძღვანელობის დროს, განვლილი აქვს ახალგაზრდობის კომკავშირსაც. თუ ჩვენ მოვიხედავთ უკან, თვალს გადავავლებთ მის მიერ ექვსი წლის განმავლობაში განვლილ გზას, ჩვენ დავინახავთ, რომ არ ყოფილა ისეთი კამპანია, ისეთი ამოცანა, ისეთი საკითხი, რომელიც დასმული ყოფილიყოს ჩვენი პარტიის დღის წესრიგში და მას არ ეპოვოს გამოძახილი და მხურვალე თანაგრძნობა ახალგაზრდობის კომკავშირის მხრივ. გასულ წლებში კავშირის ამოცანა იყო სხვაგვარი: ის გამოიხატებოდა ბურჟუაზიის გაკრიტიკებაში, მის დამხობაში, ახალგაზრდობის მასებში კლასობრივი მტრისადმი სიძულვილის გაღვივებაში, ძალების დარაზმვაში და სხვ. ის ღირსეულათ ასრულებდა ამ მუშაობას, ის მუდამ მოხერხებულათ აწყობდა არალეგალურ წრეებს კომუნისტური პროპაგანდის გასავრცელებლად, იძენდა ფარულ სტამბებს არალეგალური კომუნისტური ლიტერატურის დასაბეჭდავათ, მას შეეძლო მოხერხებულათ მოეწყო გაფიცვა, დემონსტრაციები, ჯანყებები კაპიტალისტური მთავრობის დასამხობათ და ბოლოს, ის მცირე ჯგუფიდან—სპარტაკიდან—იქცა ძლიერ ორგანიზაციად, რომელიც აკა-

კომკავშირის დღესასწაული

20 ნოემბერს შესრულდა 6 წელი ახალგ. კომკავშირის დაარსებიდან და 2 წელი ჟურნალ „მომავლის" დაარსებიდან. ეს 6 და 2 წელი ჩვენ ბევრ რამეს გვეუბნება. მთელი ეს წარსული ისტორია აღსავსეა ბრძოლის ენერგიული, გატაცებული მუშაობის საუკეთესო მომენტებით. არ შეიძლება ეხლა ეს გახსენებული არ იქნას კომკავშირის მიერ და აწონილ-გაზომილი. ჩვენ არ შევეხებით ამ წარსულს. ვილაპარაკებთ მხოლოდ იმაზე, თუ რა უნდა აკეთოს კომკავშირმა მეშვიდე წლის დასაწყისიდან და ჟურნალ „მომავალმა" მესამე წლის დასაწყისიდან.

საქართველოში უფრო სხვანაირი გზით მიდიოდა კომკავშირის განვითარება, ვინემ რუსეთში. ჩვენ ნაკლები დრო და შეძლება გვქონდა ამდენხანს მიგვექცია ჯეროვანი ყურადღება კომუნისტურ აღზრდის საკითხებზე. ასე იყო გასაბჭოებამდის, როდესაც კომკავშირი კომპარტიასთან ერთად იბრძოდა მენშევიკური რეაქციის წინააღმდეგ. ასე იყო გასაბჭოების შემდეგ ვიდრე დღემდე, როდესაც უნდა გაგვემაგრებია საბჭოთა აპარატი და დაგვენგრია ანტი-საბჭოთა პარტიები და ჯგუფები. ამ მიზანს ჩვენ დღეს მივაღწიეთ. დაიშალენ, კერძოთ, ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციები, ამავე დროს ვიმყოფებით შედარებით მშვიდობიან ხანაში. რა უნდა ვაკეთოთ ეხლა?

მთელი სიგრძე-სიგანით კომკავშირის წინაშე წამოჭრილია საკითხი კომუნისტური აღზრდის შესახებ. შემთხვევითი როდია ის, რომ კომკავშირის უკანასკნელ ყრილობაზე იდგა ასეთი საკითხი. რუსეთში ამ საკითხზე უფრო ადრე შეჩერდენ. ჩვენ კი ეხლა უნდა მივაქციოთ მას დიდი ყურადღება. მეორე საკითხი — ეს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდაა. სპეციფიური პირობები, რომლებიც ახასიათებენ ამიერ-კავკასიას და კერძოთ საქართველოს, ეს აქაური მოსახლეობის მრავალგვარობა, სიჭრელე არის აქ შეხვდებით თქვენ მრავალი ეროვნების და ტომის ხალხს. ასეა ახალგაზრდობაშიც. რუსეთში ეს საკითხი არ იდგა და არც საჭირო იყო მისი დაყენება. ამიერ-კავკასიაში ჩვენ ის უნდა დავაყენოთ. უნდა აღვზარდოთ სხვა და სხვა ეროვნების ახალგაზრდობაში ინტერნაციონალური სული და სოლიდარობის გრძნობა.

ეს ორი მთავარი ამოცანა და მათი გადაწყვეტა განსაზღვრავს ჟურნალ „მომავლის" მომავალ ამოცანებსაც. ის უნდა შეეცადოს ყველა იმ საკითხების გარკვევას, რომელნიც ამ ამოცანების ირგვლივ წამოიჭრებიან. „მომავალში" საჭიროა ზოგიერთი ცვლილებების შეტანა. აბსტრაქტული,—მე ვიტყოდი.—სქოლასტიურ-ფილოსოფიური ხასიათის წერილებს იქ ადგილი არ უნდა ქონდეს. ასე იყო კი წარსულში. იმათ ნაცვლათ ჩვენ უნდა დავაყენოთ ფაქტების და მოვლენების მარქსისტული ახსნა-გაგება. ცნობები მეცნიერებიდან, ცნობები ტეხნიკიდან და მათი დაპირდაპირება რელიგიური ცრუმორწმუნოებისადმი—ეს ერთი ამოცანათაგანია.

მეორეთ, „მომავალი" უნდა შეეცადოს ახალგაზრდობის კომუნისტური და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების გარკვევა-გაშუქებას. მუშა-ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. „მომავალმა" უნდა შექმნას აგრეთვე მთელი კადრი მომავალი მწერლებისა ახალგაზრდებისაგან.

აი რა უნდა ვუსურვოთ ახალგ. კომკავშირს მისი დღესასწაულის წინ.

ქ. ორაგველიძე.

კომკავშირის ექვსი წლის თავზე

(მისალმებანი)

საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის და ჟურნალ „მომავალი"-ს რედაქციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, ახალგაზრდა ამხანაგებო, თქვენი კავშირის ექვსი წლის და ჟურნალ „მომავლის" ორი წლის თავის შესრულების გამო.

ამ ექვსი წლის წინათ პატარა ჯგუფმა ახალგაზრდა მებრძოლებისა, ტფილისში, საფუძველი ჩაუყარა სპარტაკელთა კავშირს, რომელიც შემდეგ ჩამოყალიბდა მძლავრ კომუნისტურ კავშირათ. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთში, პროლეტარული რევოლიუციის მძლავრ ქექა-ქუხილით დაშინებულ მენშევიკებმა საქართველოს მოაშურეს და აქ იწყეს თავისი კონტრ-რევოლიუციონური ციხე-სიმაგრის შენება. წერეთელი, ჩხეიძე და სხვ., რომელთაც აქ, შორეულ ჩრდილოეთში, ძალაუფლების სადავე ხელიდან გაუვარდათ, დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოში მაინც შეიძლება მათი დასალუპავათ განწირული გემის დროებითი თავშესაფარის შოვნა. და მათ იწყეს გამაგრება ჯერ ამიერ-კავკასიის ფარგლებში, შემდეგ კი სავსებით ჩამოიცილეს ინტერნაციონალიზმის ნიღაბი და მარტოთ მარტო საქართველო გამოაცხადეს თავისი მოღვაწეობის სარბიელათ.

ოქტომბრის რევოლიუციონურ ქარტეხილმა მაშინვე ვერ მოაღწია საქართველოს საზღვრებს. ამით ისარგებლეს მენშევიკებმა და იმპერიალისტური ქვეყნების დახმარებით იწყეს „დამოუკიდებელი" საქართველოს რესპუბლიკის შენება. ცხადია, ასეთ ღალატს ვერ შეურიგდებოდა ჩვენი პარტია. მან დაიწყო სასტიკი ბრძოლა მენშევიზმის წინააღმდეგ. მენშევიკები, რომლებიც დროებით სათავეში მოექცენ ძალაუფლებას, არ ინდობდენ ჩვენს ამხანაგებს. ვინ არ იცის რამდენი გაჭირვება გადაუტანია კომუნისტურ პარტიას ამ შავბნელ რეაქციის დროს. დევნა, დატუსაღება, ციხეებში გამოლპობა, გადასახლება, დახვრეტა და სხვადასხვა,—აი როგორ გვებრძოდა ჩვენ მენშევიკური პარტია სხვა კონტრ-რევოლიუციონურ პარტიებთან შეთანხმებით. ახალგაზრდათა კომკავშირი ჩვენ გვერდში ამოგვიდგა სწორეთ ასეთ შავბნელ რეაქციის დროს. ახალგაზრდა რევოლიუციონერები ჩვენთან ერთად განიცდიდენ დევნას და წამებას მენშევიკებისაგან. ჩვენმა საერთო ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო და გამარჯვებით დაგვირგვინდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც კომკავშირი არა ნაკლები ენერგიით განაგრძობდა ჩვენთან ხელიხელ ჩაკიდებულ ბრძოლას. შედეგი ამ საერთო ბრძოლისა არის ჩვენი ხელისუფლების განმტკიცება და ანტი-საბჭოთა პარტიების და ჯგუფების ლიკვიდაცია. არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს კომკავშირის როლი რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

რას ავალებს თანამედროვე მომენტი ახალგაზრდათა კომკავშირს? რა ამოცანები სდგას დღეს მის წინაშე? დღევანდელ შედარებით მშვიდობიან პერიოდში ახალგაზრდათა კომკავშირმა უნდა მიაქციოს ყურადღება თავისი წევრების პოლიტიკურ აღზრდას. კომკავშირელი—ეს მომავალი კომუნისტია. კომკავშირმა—ამ ახალმა გვარდიამ, უნდა შესცვალოს ძველი გვარდია, დაიჭიროს მისი ადგილი საბჭოთა და პარტიულ აღმშენებლობაში. ამიტომ არის, რომ ერთ დიდ ამოცანათ კომკავშირმა უნდა დაისახოს თავის წევრთა კომუნისტური აღზრდა. კომკავშირი უნდა გახდეს კომუნიზმის ნამდვილ სკოლათ.

მეორე არანაკლებ მნიშვნელობის ამოცანა არის—ინტერნაციონალური აღზრდა ახალგაზრდობისა ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში, სადაც მრავალი ეროვნებანი და ტომებია დასახლებული, ამ კითხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აქა-იქ ახალგაზრდობის ზოგიერთი ნაწილი ეგება ნაციონალიზმის ანკესზე. კომკავშირმა ამის წინააღმდეგ უნდა აწარმოვოს ენერგიული ბრძოლა. ის უნდა ეცადოს განამტკიცოს ყველა ახალგაზრდებში ინტერნაციონალური სოლიდარობის და ძმობის გრძნობა.

ამ მიზნების მიღწევაში დიდ როლს ითამაშებს ჟურნალი „მომავალი"-ც. „მომავალი", რომელიც ამ ორი წლის წინათ გამოვიდა, გახდა ახალგაზრდათა ერთ-ერთ საუკეთესო ორგანოთ, არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მასშტაბით. ჟურნალი „მომავალი" თავის სიმაღლეზე იდგა ამ ხნის განმავლობაში და აშუქებდა, როგორც მუშა-ახალგაზრდობის ბრძოლის და მუშაობის საკითხებს, ისე მრავალ სხვა საჭირბოროტო საკითხებსაც. თუ ასე იყო წარსულში, ცხადია, მომავალში, დასახული ამოცანების მიხედვით, „მომავალმა" უფრო მეტი როლი უნდა ითამაშოს ახალგაზრდობის კომუნისტურათ, ინტერნაციონალურათ აღზრდის და მომზადების საქმეში. ყოველმა ახალგაზრდა მშრომელმა უნდა ნახოს ამ ჟურნალში პასუხი მრავალ საკითხებზე.

ამრიგათ, კომკავშირის 6 წლის და „მომავლი"-ს ორი წლის მუშაობას და ბრძოლას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. ჩვენ გვყავს მრავალრიცხოვანი შეკავშირებული ახალგაზრდობა, რომელიც მომავალში გაორკეცებული ენერგიით განაგრძობს ჩვენ დიდ საქმეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კვლავ მხურვალეთ გესალმებათ თქვენ ახალგაზრდა მებრძოლებს, და გამოსთქვამს ურყევ რწმენას, რომ კომკავშირი და „მომავალი" მომავალშიც სახელოვნათ შეასრულებენ თავიანთ დანიშნულებას.

გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომუნისტურ და ინტერნაციონალურ აღზრდას!

გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს, რომელიც ხელმძღვანელ როლს ითამაშებს ამ საქმეში!

გაუმარჯოს ჟურნალ „მომავალს"!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი დღესასწაულობს თავისი არსებობის ექვსი წლის თავს. მძიმე და სახელოვანი გზა განვლო ამ ექვსი წლის განმავლობაში საქართველოს რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამ. დაარსების პირველ დღეებში კავშირმა წამოაყენა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ინტერნაციონალური ბრძოლის ლოზუნგები. და ამ ლოზუნგების ერთგული დარჩა ის თავისი არსებობის ყველა მომენტში. იმ დროს, როცა მუშათა კლასის მოღალატეებმა მოსწყვიტეს საქართველოს მშრომელი მასები სოციალიზმისათვის მებრძოლთა საერთო არმიას, ახალგაზრდობის კავშირი დარჩა თავის რევოლიუციონურ პოზიციებზე და სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა შეუთანხმებელი შოვინიზმის წინააღმდეგ და აღიარებდა საქართველოს მშრომელთა სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების მუშურ-გლეხურ მასებთან გაერთიანების აუცილებლობას.

ბურჟუაზიისა და მისი შაჩანჩალების მხრით დევნა-შევიწროებამ დიდი ზიანი მიაყენა კავშირს, მაგრამ ვერ შეასუსტა მისი რევოლიუციონური ენერგია. საქართველოს კომპარტიასთან ერთად ახალგაზრდობის კავშირი მუდამ ჟამს იყო ცენტრი, რომლის გარშემო თავს იყრიდენ საქართველოს ყველა რევოლიუციონური ძალები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და განმტკიცების საქმეში კავშირმა უდიდესი როლი ითამაშა. მან საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს მისცა მთელი რიგი მუშაკებისა და გაძლიერებულ მუშაობას აწარმოებდა ახალგაზრდობის აღსაზრდელათ და წითელი არმიის გასამაგრებლათ. კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რიგებში საქართველოს კომკავშირის მრავალი წევრია, რომლებიც თოფით ხელში იცავენ მტრებისაგან ს. ს. რ. კ. საზღვრებს, სწავლობენ თითონ, ასწავლიან სხვებს და წარმოადგენენ მაგალითს მათთვის.

კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის სამხედრო-პოლიტიკურ სკოლაში არიან საქართველოს კომკავშირის წარმომადგენლები, რომლებიც ემზადებიან არმიის მებრძოლების პოლიტიკურ აღმზრდელთა პასუხსაგებ როლისათვის.

ახალგაზრდობის კავშირის შეფობამ წითელ ფლოტზე მტკიცე კავშირი დაამყარა არმიასა, ფლოტსა და კომკავშირს შორის და საქართველოს კომკავშირის საუკეთესო წარმომადგენლები მისცა წითელ ფლოტს. ამ რიგად საქართველოს კომკავშირი მრავალი ძაფებით მტკიცედ არის დაკავშირებული წითელ არმიასთან, რომელიც თვითონ, თავისი შემადგენლობით, არის შეიარაღებული ახალგაზრდობის არმია.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტიკური სამმართველო მიესალმება საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობას მისი არსებობის ექვსი წლის თავზე და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ძმური კავშირი წითელ არმიასა და კომკავშირს შორის უფრო განმტკიცდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდი კავშირის და მთელი ქვეყნის მშრომელთა საკეთილდღეოდ.

კომუნისტური სალამით.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტიკური სამმართველოს უფროსი

ი. ვრაჩევი.

20 ნოემბერი

20 ნოემბერი საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის არსებობის ექვსი წლის თავია. ექვსი წლის ბრძოლა და არსებობა—ეს მეტად გრძელი პერიოდია. მეოცე საუკუნის პირობებში ეს მთელი ათეული წლებია.

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური თაობა თავის გამარჯვების ექვსი წლის თავს დღესასწაულობს დღეს. დღეს ის იგონებს გასული ექვსი წლის მუშაობას, სახელოვან წარსულს, შეცდომებს თუ დადებით მიღწევებს და ამის მიხედვით იმუშავებს საკუთარი განვითარების და ბრძოლის ახალ წესებს. ამ ექვსი წლის წინათ ტფილისში, საქართველოს ამ პროლეტარულ ცენტრის პროლეტარულ რაიონში, ნაძალადევში დაარსდა რამოდენიმე ახალგაზრდა მუშისგან, დაუვიწყარ ახალგაზრდა რევოლიუციონერთა, ამხ. ბორის ძნელაძის, იონიდის და სხვათა მეთაურობით, მუშათა ახალგაზრდობის მცირე-რიცხოვანი პოლიტიკური ორგანიზაცია—„ახალგაზრდა სოციალისტ—ინტერნაციონალისტთა კავშირი – სპარტაკის სახელწოდებით.

დღეს იმავე ტფილისში რამოდენიმე ათასი „სპარტაკელები" გვყავს.

ეს აუცილებლად დიდი გამარჯვებაა, მეტად გავრცელებული მოძრაობის ნაყოფია.

ექვსი წლის წინათ „სპარტაკი" ყველასაგან შეუმჩნეველი, უმნიშვნელო, არაფრის შემძლე პატარა ჯგუფი იყო, დღეს კი ყველასათვის ცნობილი, მნიშვნელოვანი და ბევრის შემძლე ორგანიზაცია.

ექვსი წლის წინად „სპარტაკი" აერთიანებდა მთელ საქართველოში რამოდენიმე ათეულ მშრომელ ახალგაზრდას, დღეს კი ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი აერთიანებს თავის რიგებში საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს, 17 ათასამდე ახალგაზრდა. მუშას და გლეხს.

ექვსი წლის წინათ „სპარტაკს" მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობაში თითქმის არავითარი როლის თამაში არ შეეძლო, დღეს კი ის რევოლიუციის ერთ-ერთ სერიოზულ ძალათ ითვლება.

ექვსი წლის წინათ „სპარტაკი" ახალგაზრდათა მოძრაობის მხოლოდ ნამტვრევი იყო, ახლად ფეხ-ადგმული, დღეს კი ამ მოძრაობის უცილობელი მებაირაღტრეა.

განვლილი ექვსი წლის დაუცხრომელმა ბრძოლამ აქამდე განავითარა საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობა.

ვინ მოსთვლის, თუ რამდენი ვაივაგლახი, დევნა, შევიწროება, დამცირება და სხვა არ განიცადა „სპარტაკმა".

კომუნისტური პარტიის გვერდით კომკავშირი „ძილს უფრთხობდა" ჩვენში არსებულ „უძლეველ დემოკრატიულ ხელისუფლებას". ამიტომ შეუბრალებლად იდევნებოდა კომუნისტური კავშირი კომპარტიასთან ერთად. განა საკანგებო რაზმს, კედია-ფაჩულიებს, კომუნისტური მოძრაობის დევნის, ამ მოძრაობის მეთაურთა დახვრეტა-გადასახლების და ციხეებში გამოლპობის გარდა ქონდათ სხვა რაიმე დანიშნულება? განა „დემოკრატიულ" სახელმწიფოს „წესიერების" დამცველი ორგანოები დაუმორჩილებელ კომუნისტური პარტიის და ახალგაზდათა კომუნისტური კავშირის „მოჭკვიანების" გარდა სხვა რაიმე „სასახელო საქმეს" ჩაიდენდნენ?

რისთვის იბრძოდა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი? საბჭოთა ხელისუფლებისთვის, საქართველოს ოქტომბრისთვის.

პროლეტარული რევოლიუციის ტალღები ვერავითარმა ხელოვნურმა ზღუდემ ვერ შეაჩერა. მუშათა კლასის გამცემლობას და პროლეტარული რევოლიუციის დეზერტირობას ბოლო მოეღო. საბჭოთა მზემ მენშევიკურ „ოაზისშიც" შემოანათა...

ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი განვითარების ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, საბჭოთა ხელისუფლების პირობებმა მასზე უდიდესი დადებითი გავლენა იქონია. სულ ორ ნახევარი წლის განმავლობაში, ის წარმოუდგენლათ გაიზარდა და გაძლიერდა. ის საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის მასიურ ორგანიზაციათ იქცა.

დღეს საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა იცნობს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს, როგორც თავის საუკეთესო წინამძღოლს, საიმედო გზის მანათობელს, თავისი ინტერესების ნამდვილ დამცველს, მასთან ჭირში და ლხინში მყოფს და აძლევს ფიცს, რომ ბოლომდის, საერთაშორისო პროლეტარიატის ბრწყინვალე გამარჯვებამდის, მსოფლიოს მშრომელი ახალგაზრდობის საბოლოო განთავისუფლებამდის, შეუდრეკლათ ივლის მასთან ბრძოლის ეკლიან გზაზე.

20 ნოემბერს სრულდება აგრეთვე ორი წელი მას შემდეგ, რაც არსებობს ჟურნალი „მომავალი", კომუნისტური კავშირის საყვარელი ორგანო, მისი მომმზადებელი, კომუნისტურად აღმზრდელი და მასში ინტერნაციონალიზმის მქადაგებელი.

„მომავალმა" გასული ორი წლის განმავლობაში გადაუხვევლათ ემსახურა ყველა ამ მიზნებს. მან გაამართლა მასზე დამყარებული იმედები, ის გახდა ახალგაზრდობის პოლიტიკურ და მეცნიერულ-მარქსისტული გათვითცნობიერების საუკეთესო იარაღათ, მან თავისი წარმატებითი მუშაობით მიიპყრო ყველას ყურადღება. „მომავალი" ახალგ. კომუნისტური კავშირის ხელში ყველაზე საუკეთესო საშუალებაა ახალგაზრდობის ფართე მასებში კომუნისტური იდეების გასავრცელებლად, ახალგაზრდობის მარქსისტულათ აღსაზრდელათ.

„მომავალი" მთელი თავისი არსებობის განმავლობაში მხოლოდ ამ მხრივ ავითარებდა თავის მუშაობას, მხოლოდ ამ ამოცანებს ემსახურებოდა და მან კიდეც მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს.

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი და მისი „მომავალი" შემდეგშიც ასევე მხნედ, გონივრულათ გაყვებიან ერთხელ არჩეულ გზას, საქართველოს მთელი მშრომელი ახალგაზრდობის კომუნისტური დროშის ქვეშ დასარაზმავათ, მასში საფუძვლიანი მარქსისტული ცოდნის შესატანად, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დასამკვიდრებლათ.

გაუმარჯოს საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს ბრძოლისა და გამარჯვების ექვსი წლის თავზე!

გაუმარჯოს ჟურნალ „მომავალს"!

დ. გ.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

სოციალ-დემოკრატების ახალი ღალატი: პროფკავშირთა რეფორმისტული ლიდერები წინააღმდეგი არიან საერთო გაფიცვის, რომელსაც მოითხოვენ კომუნისტები.

კაიზერის და კრონპრინცის დაბრუნების გარშემო: ელჩთა კონფერენციას ჯერ კიდევ არ მიუღია არავითარი გადაწყვეტილება კრონპრინცის დაბრუნების შესახებ.

ამსტერდამის გაზეთებში ყოფილი კაიზერი ვილჰელმი აცხადებს, რომ კრონპრინცის დაბრუნებასთან გერმანიაში „მას არავითარი კავშირი არ აქვს“.

დაპყრობილ ოლქებში: რურის მწარმოებლებმა განაცხადეს, რომ ახლო მომავალში შემოღებულ იქნება ათი საათის სამუშაო დღე.

დორტმუნდში მოხდა შეტაკება კომუნისტების მიერ მოწყობილ დემონსტრაციასა და პოლიციას შორის.

ესსენში მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება უმუშევართა და პოლიციას შორის.

განხეთქილება ფაშისტებს შორის: ბავარიის ფაშისტებს შორის განხეთქილებაა გერმანიაში მონარქისტული წესწყობილების აღდგენის საკითხში.

სოციალ-დემოკრატების ახალი ღალატი

რას გამოიწვევს მბეჭდავთა გაფიცვის ჩაშლა.

ბერლინი. 17 ნოემბ. მბეჭდავთა და აგრეთვე საწიგნველო წარმოებათა მუშების გაფიცვის ჩაშლა უეჭველია გამოიწვევს კაპიტალის შემოტევის გაძლიერებას.

მბეჭდავთა გაფიცვის მეთაური პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

ბერლინი. 17 ნოემბ. **მბეჭდავთა კავშირის გაერთიანების თავმჯდომარე და ფაბრიკა-ქარხნების მრავალი წევრი მიცემული არიან სასამართლოში მბეჭდავთა გაფიცვისათვის მოწოდებისათვის.** პოლიგრაფიულ წარმოების—მეპატრონეთა კავშირმა უარი განაცხადა ყოველგვარ მოლაპარაკებაზე მუშათა წარმომადგენლებთან. შესაძლებელია, რომ ის შესცვლის დათხოვნილ მუშებს შტრეიკბრეხერებით, ვინაიდან პროფკავშირების მიერ გაფიცვის ჩაშლის შესახებ არავითარი შეთანხმება არ ყოფილა.

შეთანხმებელნი ისევ საბოტაჟს აცხადებენ.

ბერლინი. 17 ნოემბ. პროფკავშირთა შერეულ კომისიის სხდომაზე **კომუნისტებმა გაილაშქრეს სექტის ბრძანებების წინააღმდეგ და მოითხოვეს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება.**

ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის წარმომადგენელმა—საჭიროთ აღიარა რა სამხედრო ხელისუფლების განკარგულებათა წინააღმდეგ გამოსვლა—განაცხადა, რომ გაფიცვა ბერლინის მასშტაბით მარცხით დამთავრდება.

მელითონეთა პროფკავშირების რეფორმისტული ბელადებმა გაილაშქრეს საყოველთაო გაფიცვის წინააღმდეგ.

კომუნისტების წინადადება უარყოფილ იქნა უმნიშვნელო უმრავლესობით.

განხეთქილება ფაშისტებს შორის

ორი მონარქიული ხროვა.

ბერლინი. 16 ნოემბ. ბავარიელ ფაშისტებს შორის სრული განხეთქილებაა, კარი ცდილობს აღადგინოს ურთიერთობა უკიდურეს მემარჯვენეებთან, რისთვისაც მონდომებულია დაამტკიცოს თავისი ლოიალობა, კნილინგის მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრების გზით.

მიუნხენში ლაპარაკობენ, რომ **კარს განზრახვა აქვს გაილაშქროს კვირას ბავარიის მთავრობის წინააღმდეგ.** კარის გეგმა მდგომარეობს იმაში, რომ ბავარიაში გამოაცხადოს **მონარქია** უნგრეთის მაგალითის მიბაძვით და თვითონ დაინიშნოს რეგენტათ ბავარიის კრონპრინცის რუპრეხტის ტახტზე ასვლამდე.

ბავარიელ მონარქისტებს მომენტი ხელსაყრელად მიაჩნიათ მონარქიის გამოსაცხადებლად და ფიქრობენ, **რომ ახლო მომავალში კრონპრინცი შეიძლებს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის დაკავებას.**

კარის აზრით, ბავარია უნდა დარჩეს ცალკე სახელმწიფოთ, რომელიც უნდა იმყარებოდეს ავსტრო ალპიის სახელმწიფოებს. რუპრეხტი იმყოფება იმ პირთა გავლენის ქვეშ, რომლებიც **მოითხოვენ ბავარიის გამოყოფას პრუსიიდან და ცდილობენ გამოაცხადონ რუპრეხტი მთელი გერმანიის იმპერატორათ,** რასაც წინ უნდა უძღოდეს მის მიერ საიმპერიო პრეზიდენტის პოსტის დაკავება. ამ პოლიტიკის გამომხატველი—რუპრეხტის კანცელარიის უფროსი გრაფი სოდენი აწარმოებს მოლაპარაკებას ერხარდტთან. მას იმედი აქვს, რომ უკანასკნელი დაეთანხმება ჰოენცოლერნების ვიტელსბახებით შეცვლაზე იმპერიის მთლიანობის დაცვის პირობით.

გრაფი როდენი აწარმოებს მოლაპარაკებას ერხარდტთან აგრეთვე იმის შესახებაც, რომ უკანასკნელს დაეკისროს ბერლინზე გალაშქრების და „იქ წესრიგის აღდგენის“ მეთაურობა.

თანხების უქონლობა აიძულებს ერხარდტს საჩქაროდ მიიღოს გადაწყვეტილება, რისთვისაც მისი მოწინააღმდეგე კარიც უნდა ჩქარობდეს.

ამავე დროს სწარმოებს უშუალო მოლაპარაკება ერხარდტსა და კარს შორის, რომელთაც არ სურთ სრული დამოკიდებულნი იყვნენ გენერალ ლოსოვისაგან.

საერთოდ კარი, რუპრეხტი, ერხარდტი, გენერალი ლოსოვი და კნილინგი ცდილობენ ერთი-მეორის აჯობონ ეშმაკობაში. გერმანიის ამბების შემდეგი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ უფრო ადრე მიაღწევს შეთანხმებას შტრეზემანის და კნილინგის მთავრობებთან ან გენერალ სექტთან და ლოსოვთან.

ბავარიის მუშებს კარგათ ესმით, რომ ასეთი შეთანხმება მოხდება მუშების ხარჯზე ბავარიის კომპარტია რიცხობრივათ სუსტია. მას არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს კარის განკარგულებას მისი დაშლის შესახებ. სოციალ-დემოკრატია კი, მიუხედავათ დევნისა, ხაზს უსვამს თავის „ლოიალობას“ და დაჟინებულად ელოდება კარის განკარგულებას მისი დაშლის შესახებ.

ბავარიის მთავრობამ, რომელმაც დაჰგმო ჰიტლერის და ლიუდენდორფის გამოსვლა, დაჰკარგა ბავარიის განსაზღვრული წრეებში თავისი პოპულიარობა და ამიტომ ვერ ბედავს საალყო წესების მოსპობას და აგრეთვე სამოქალაქო კომისრის თანამდებობის გაუქმებას.

კომპარტია იზრდება

ჰალეს სოციალ დემოკრატები კომპარტიაში შევიდნენ.

ბერლინი. 17 ნოემბ. სოციალ-დემოკრატიულ კავშირის ჰალეს ორგანიზაციები კომპარტიაში შევიდნენ.

მთავრობა „მუშაობს“

ებერტის „მოწყალება“.

ბერლინი. 18 ნოემბერი პრეზიდენტმა ებერტმა ჰამბურგის აჯანყებაში მონაწილე მუშებს, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ სიკვდილით დასჯა, სასჯელი შეუცვალა ციხეში დამწყვდევით 10 წლის ვადით.

უნდათ საკუთარი ვალიუტის შემოღება.

ბერლინი. 17 ნოემბერი. ბავარიის ფინანსთა მინისტრი გაემგზავრა ბერლინში საკუთარი სრულფასიანი ვალიუტის შემოღების საკითხის გადასაწყვეტად. მიუნხენის პრესა აგიტაციას ეწევა ამ მიმართულებით, ემყარება რა ჰამბურგის და ბადენის მაგალითს.

ტევტონელებმა მოაწყეს ებრაელების დარბევა.

ბერლინი. 17 ნოემბერი. ნეიზალცში (სილეზია) მოხდა სასურსათო დუქნების დარბევა. ტევტონელებმა მოაწყვეს ებრაელების მაღაზიების დარბევა. პოლიციამ იხმარა ხელით სასროლი ყუმბარები. მოკლულია 2 და დაჭრილია 2 კაცი.

ლითონის 28 წარმოების დახურვის მოლოდინში.

ბერლინი. 16 ნოემბერი. ბერლინის ლითონის მრეწველობაში მოელიან 28 ფაბრიკის დახურვას.

დაპატიმრებულ მბეჭდავთა განთავისუფლება.

ბერლინი. 17 ნოემბერი. პარასკევს ყველა გაზეთი გამოვიდა. მბეჭდავთა კავშირის პრეზიდიუმის დაპატიმრებული წევრები განთავისუფლებული არიან.

„ფორვერტს“-ის დაგვიანებული მხილება.

ბერლინი. 19 ნოემბერი. „ფორვერტს“-ი აშკარა სიცრუეთ აღიარებს ფოშისადმი გერმანიის მთავრობის ოფიციალურ პასუხს, რომელშიაც მთავრობა აცხადებს, რომ იგი ცდილობს გააუქმოს არალეგალური სამხედრო ორგანიზაციები. „ფორვერტს“-ი აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც მთავრობა გასაოცარი ენერგიით აუქმებდა პროლეტარულ რაზმებს და მემარცხენე ორგანიზაციებს, **გენერალი სექტი და მისი ხელქვეითები ხელსაც არ ახლებდნენ ფაშისტურ ორგანიზაციებს.** მაგალითად, „ახალგაზრდა გერმანიის ორდენს“ და „ფოლადის მუზარადის ლიგას“, რომლებიც ყოფილ ოფიცრებისაგან შესდგებიან და ატარებენ სამხედრო ხასიათს და რომლებმაც საქვეყნოთ ისახელეს კიუსტრინის „პუტჩ“-ში. გაზეთი აგრეთვე, აღნიშნავს, რომ რამოდენიმე ხნის წინეთ მაგდებურგში მოწვეულმა ოფიცერთა კრებამ დეპეშით წაუყენა შტრეზემანს მოთხოვნილება მემარჯვენე დიქტატურის დაუყოვნებლივ შექმნის შესახებ.

გაზეთის სიტყვით საიმპერიო მთავრობის უმოქმედობა მემარჯვენე ორგანიზაციების და ბავარიის მიმართ კომენტარიების არ საჭიროებს.

ბავარიის რეიხსვერის გაწვევა ტიურინგიიდან.

რომი. 19 ნოემბერი. ბავარიის მთავრობამ გამოაქვეყნა ბრძანება ტიურინგიის საზღვრებიდან ბავარიის რეიხსვერის გაწვევის შესახებ.

შავი ძალები

„მახინჯები“.

ბერლინი. 17 ნოემბერი. ბავარიის „სამშობლოს კავშირები“ მოწოდებაში აცხადებენ: „გერმანელებმა დაამარცხეს თავიანთ მტრების იმედები. მიუნხენში დაღვრილია მხოლოდ გერმანელების სისხლი. მან უნდა შეაკავშიროს ყველა გერმანელები. კარმა თავისი ჩარევით იხსნა სახელმწიფო—ეხლა უნდა გადავარჩინოთ სამშობლო“. **მიმართვა მოუწოდებს გაერთიანებისა და მტრების წინააღმდეგ გაერთიანებული ძალით გამოსვლისაკენ.**

რეიხსვერის და ფაშისტების თავხედობა.

ბერლინი. 17 ნოემბ. ნოიშტადტში (საქსონია) ქალაქის თვითმართველობის ერთ სოციალ-დემოკრატ წევრს თავს დაესხა ორი უცნობი, რომლებსაც რეიხსვერის ტანსაცმელის გარეთ ეცვათ ჩვეულებრივი ევროპიული კოსტიუმები, ბოროტმოქმედნი პოლიციამ დააპატიმრა. „ფორვერტს“-ის ცნობით, თავდასხმის შემდეგ ქალაქში ავტომობილებით შემოვიდენ რეიხსვერის ჯარისკაცები, რომლებმაც ალყა შემოარტყეს ქუჩას და დააპატიმრეს დაზარალებული და აგრეთვე მისი ვაჟი.

ეწინააღმდეგებიან ჰიტლერს და იცავენ კარს.

ბერლინი. 16 ნოემბერი. ნაციონალისტებმა ხანგრძლივი კამათის შემდეგ გაილაშქრეს ჰიტლერის წინააღმდეგ და დაიცვეს კარი; **ნაციონალისტები იცავენ აგრეთვე ლიუდენდორფსაც.**

ფაშისტები იმუქრებიან ტერორით.

ბერლინი. 16 ნოემბ. გამოქვეყნებულია კარის განკარგულება ფაშისტური პარტიის და აგრეთვე „ობერლანდ“-ის და „საიმპერიო დროშის“ დაშლის შესახებ.

ფაშისტებმა განაცხადეს, რომ ისინი არ სცნობენ ამ განკარგულებას და **ხელს მიჰყოფენ ტერორს,** „ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის“ დევნის შემთხვევაში.

ლიუდენდორფი ამჟღავნებს კარის და ლოსოვის საქციელს

პარიზი. 19 ნოემბ. ლიუდენდორფმა განუცხადა „კიოლნიშე ცაიტუნგის“ წარმომადგენელს, **რომ ის ამზადებდა სახელმწიფოებრივ გადატრიალებას კართან და ლოსოვთან ერთად.**

კაიზერის და კრონპრინცის დაბრუნების გარშემო

უთანხმოება მოკავშირეთა შორის.

პარიზი. 16 ნოემბ. **ელჩთა კონფერენცია ვერ შეთანხმდა გერმანიაში კრონპრინცის დაბრუნების და სამხედრო კონტროლის განახლების საკითხში.** საფრანგეთის წარმომადგენელი მოითხოვდა კრონპრინცის გაძევებას და მოკავშირეთა სამხედრო კონტროლის განახლებას გერმანიაში. ინგლისის წარმომადგენელი თანახმა იყო პროტესტი განეცხადებინა მხოლოდ კრონპრინცის დაბრუნების წინააღმდეგ, მაგრამ უარყო საფრანგეთის მიერ წარდგენილ სანქციების ხმარება იმ შემთხვევაში, თუ გერმანია იტყვის უარს.

პუანკარემ განაცხადა, რომ თუ შემდეგ სხდომაზე ელჩთა კონფერენცია არ შეთანხმდა, **საფრანგეთი თვითონ იხმარს სანქციებს გააფართოებს ოკუპაციას და ხელში ჩაიგდებს ჩრდილოეთ და სამხრეთ-გერმანიის რკინის გზებს.**

ბურჟუაზიული პრესა მწუხარებით აღნიშნავს უთანხმოებას მოკავშირეთა შორის.

ისტორიული ამბები

ბერლინი. 17 ნოემბ. გერმანელ ოფიცერთა ყველა კავშირებმა გაუგზავნეს კრონპრინცს მილოცვა მისი გერმანიაში დაბრუნების გამო. ნაციონალისტური პრესა კრონპრინცის დაბრუნებას „ისტორიული მნიშვნელობის მოვლენათ“ სთვლის. პრესის წარმომადგენლებთან საუბარის დროს კრონპრინცმა ხაზი გაუსვა თავის დაბრუნების კერძო ხასიათს.

ვილჰელმი „უარყოფს“.

ბერლინი. 17 ნოემბ. ყოფ. კაიზერი ვილჰელმი ამსტერდამის გაზეთებში აცხადებს, რომ კრონპრინცი დაბრუნდა გერმანიაში მის დაუკითხავათ. პირადათ ვილჰელმი წინააღმდეგი იქნებოდა კრონპრინცის დაბრუნებისა იმ მომენტში, როცა გერმანიაში დიდი უთანხმოება არსებობს. დასკვნაში ვილჰელმი უარყოფს ცნობას მონარქისტულ მოძრაობასთან კავშირის შესახებ.

კაიზერის „განმარტება“.

ბერლინი. 18 ნოემბ. ყოფილი კაიზერი ჰოლანდიის პრესაში უარყოფს იმ ხმებს, თითქოს მას განზრახული ჰქონდეს გერმანიაში დაბრუნება; კაიზერი უარყოფს აგრეთვე იმ ხმებს, თითქოს დოორნის ციხეში არსებობდეს სატელეგრაფო დამოკიდებულების ნიუენთან.

ახალი მთავრობის „ძებნაში“

შტრეზემანი მოითხოვს ნდობას.

ბერლინი. 16 ნოემბ. **მემარჯვენე წრეები კვლავ მოითხოვენ შტრეზემანის გადადგომას.** ნაციონალისტების უარყოფითი დამოკიდებულების გამო, შტრეზემანი ცდილობს უზრუნველყოს ნეიტრალიტეტი სოციალ-დემოკრატების მხრივ.

თუ მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატებთან უშედეგოთ დარჩება, შტრეზემანი დასვამს რეიხსტაგში ნდობის საკითხს. უნდობლობის ვოტუმის მიღების შემთხვევაში, **შტრეზემანი დაითხოვს რეიხსტაგს.**

შეთანხმებელთა პოზიცია.

ბერლინი. 17 ნოემბ. დემოკრატები ცდილობენ შექმნან სოციალ-დემოკრატიის ნეიტრალიტეტი შტრეზემანის მთავრობის მიმართ. სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილებები ამჟამად შემდეგია: ენერგიული პოლიტიკა ბავარიის მიმართ; საალყო წესების გაუქმება და ნათელი პოლიტიკა რეინის საკითხში.

დაპყრობილ ოლქებში

180 მსხვერპლი ერთ დღეში.

პარიზი. 19 ნოემბერი. **უმუშევართა მღელვარება და დემონსტრაციები უსურსათობის ნიადაგზე გრძელდება დღეს დიუსელდორფსა, ობერბილკსა, გელზენკირხენსა, ესსენსა და ბოხუმში.** ერთ დღე-ღამეში მსხვერპლთა რაოდენობა 130 მდე აღწევდა. ობერბილკი წარმოადგენს დარბეულ და დამწვარ მაღაზიების საზარელ სურათს. ქალაქის თვითმართველობის სკვერში დაბანაკდენ მოტოციკლეტების და კავალერიის პატრულები.

სასურსათო საკითხი.

ბერლინი. 19 ნოემბერი. ოკუპაციის რაიონებში სასურსათო საკითხს ამჟამად წარმოადგენს უმუშევართა სერიოზული მღელვარება.

სისხლისმღვრელი შეტაკება ესსენში

ბერლინი 18 ნოემბერი. ესსენში მოსახლეობის პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლულია ორი და დაჭრილია მრავალი.

სამუშაო დღის გადიდება.

ბერლინი. 16 ნოემბერი. რურის მრეწველებმა განაცხადეს, რომ მომავალში 8 საათის სამუშაო დღე მოსპობილი იქნება და მის მაგივრათ შემოღებულ იქნება 10 საათის სამუშაო დღე.

დემონსტრანტების შეტაკება პოლიციასთან.

ბერლინი. 16 ნოემბერი. დორტმუნდში კომუნისტების მიერ მოწყობილ დემონსტრაციას შეტაკება მოუხდა პოლიციასთან. შეტაკების დროს მძიმეთ დაიჭრა დორტმუნდის პოლიციის უფროსი.

სისხლისმღვრელი შეტაკება ესსენში.

ბერლინი. 16 ნოემბერი. ესსენში უმუშევრებსა და პოლიციას შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება. დარბეულია სურსათის მაღაზიები. უმუშევრებმა მოაწყვეს ბარიკადები შეტაკების დროს. პოლიციელთაგან მოკლულია ერთი და დაჭრილია ორი, მუშების მხრივ კი მოკლულია ორი და დაჭრილი 30. შეტაკების გამო, პოლიციის მიერ დატუსაღებულია მრავალი.

გერმანიის ამბების გამოძახილი

ინგლის-საფრანგეთის შეხლა-შემოხლა გერმანიის ამბების გამო.

ბერლინი. 17 ნოემბერი. გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, რომ **ბრიტანეთის მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია საფრანგეთის მიერ განზრახული ზომები გერმანიის წინააღმდეგ და სახელდობრ:** ბავარიაში და პრუსიაში საერთაშორისო კომისიების გაგზავნა, ჰამბურგის და ბრემენის ოკუპაცია და სხვა.

კორესპონდენტი დასასრულ აღნიშნავს, რომ საფრანგეთი დიდ თანხებს ხარჯავს ევროპის მცირე სახელმწიფოების შესაიარაღებლად, თუმცა დღემდის საფრანგეთს არ გადაუდგამს ნაბიჯი ინგლისისათვის თავისი ვალის გასასტუმრებლად.

გერმანიის დამხმარე საერთაშორისო პროლეტარული ორგანიზაცია.

ბერლინი. 16 ნოემბერი. მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია **იწვევს ბერლინში 9 დეკემბერს საერთაშორისო კონგრესს გერმანიაში შიმშილის საწინააღმდეგო ზომების განსახილველად**

ხუთი დღის ხელფასი გერმანიის მუშებისათვის.

დონის როსტოვი. 19 ნოემბერი. საარტილერიო სახელოსნოებისა და საწყობების მუშა-მოსამსახურეებმა შესწირეს გერმანიის მუშებს ხუთი დღის ხელფასი

რევოლუციური დახმარება გერმანელ ამხანაგებს.

სუჯენსკოე კოპი. 19 ნოემბერი. ადგილობრივ მაღაროების საამშენებლო განყოფილების კომუჯრედმა დაადგინა ყოველთვიურათ გადასდოს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ თავისი ხელფასის 1 პროც.

ამხ. ვოროვსკის მკვლელის პროცესის გამოძახილი

ბურჟუაზიამ გამოააშკარავა თავისი ნამდვილი სახე.

მოსკოვი, 19 ნოემბერი. იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. კურსკიმ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, ამხ. ვოროვსკის მკვლელის გამართლების შესახებ განაცხადა შემდეგი: „ჩვენ ვცხოვრობთ რევოლიუციონურ ხანაში, როდესაც ყველა კლასიური წინააღმდეგობანი თავს იჩენენ ხოლმე ყოველ საათობით. სასამართლო არ შეადგენს გამონაკლისს, მაგრამ **ამხ. ვოროვსკის მკვლელის გამართლება ყოველგვარ შესაძლებლობას აღემატება.** საქმის გარემოებები უბრალოა. მკვლელმა კონრადიმ ჩაიდინა ბოროტმოქმედება სრული შეგნებით და ბოროტი განზრახვით. კონრადი შეიპყრეს ბოროტმოქმედების ადგილზე. პოლუნინის დანაშაულობა გამოირკვა გამოძიების დროს. **ორივეს დანაშაულობა ნათელია და დამტკიცებული.**

მაგრამ სოციალურ რევოლიუციის მსვლელობით დაშინებული ბურჟუაზია არ შეჩერდა ფორმალური მხარეების უკუგდებაზე და გამოააშკარავა თავისი ნამდვილი სახე. ყველა ქვეყნის მუშები ჩქარა მიაღწევენ იმას, რომ არა მარტო ისტორიის სამსჯავრო, არამედ **უფრო უახლოესი პროლეტარული სასამართლო შესაფერად დასჯის ამხ. ვოროვსკის მკვლელებს მკვლელობისათვის ხელის შემწყობთ.**

პროკურორის განცხადება

ლოზანა. 17 ნოემბერი. ლოზანიდან იუწყებიან, რომ ბრალდებულთა დასჯისათვის, კანტონის კოდექსის ძალით, საჭიროა ნაფიც მსაჯულთა ხმების უმრავლესობა, სახელდობრ,—ორი მესამედი. კონრადის და პოლუნინს მიესაჯა სასამართლო ხარჯების გადახდა, ნაფიც მსაჯულთა სათათბიროთ გასვლის წინ **პროკურორმა მოითხოვა ბრალდებულთა დასჯა** და განუცხადა მსაჯულთ, რომ ბოლშევიზმის კრიტიკა უადგილოა მანვე აღნიშნა, რომ საბრალმდებლო მასალა ბოლშევიზმის წინააღმდეგ საეჭვო ღირსებისაა.

მღელვარე სცენა.

ლოზანა. 17 ნოემბერი. ამხ. ვოროვსკის მკვლელთა პროცესზე სამოქალაქო მომჩივანმა ველტიმ, რომელიც აღშფოთდა დამცველ ობერის მიერ გამოთქმულ ცილისწამებით, კომედიანტის სახელი უწოდა ობერს. ასტყდა აურ-ზაური. თავმჯდომარემ სთხოვა ველტის დაეტოვებინა სხდომის დარბაზი. ველტიმ უარი განაცხადა, რის შემდეგ იგი ჟანდარმებმა გაიყვანეს.

ადვოკატმა მანზმა განაცხადა, რომ მიუხედავათ იმისა, რომ იგი ეკუთვნის ბურჟუაზიულ კლასს, იგი აღშფოთებულია ბოლშევიზმის მოწინააღმდეგეთა სიცრუით. პროკურორმა განაცხადა, რომ შვეიცარიის ტრიბუნალს არა აქვს საბჭოთა რუსეთის გასამართლების უფლება. „თუ რუსები უკმაყოფილონი არიან ბოლშევიზმით, სთქვა პროკურორმა,—მათ შეუძლიათ წავიდენ რუსეთში და იქ აწარმოვონ სამოქალაქო ომი და არა შვეიცარიაში“.

დამნაშავეებათ იცნეს, მაგრამ სასჯელისაგან გაანთავისუფლეს.

ბერლინი. 17 ნოემბერი. ვოროვსკის მკვლელები კონრადი და პოლუნინი ხუთი ხმის უმრავლესობით ოთხის წინააღმდეგ ცნობილნი არიან დამნაშავეებათ, მაგრამ სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნენ, რადგან შვეიცარიულ კანონის ძალით დასჯისათვის საჭიროა ხმების დიდი უმრავლესობა.

ინგლისის პრესა ლოზანას სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.

ლონდონი. 18 ნოემბ. ინგლისის პრესა უკომენტარიოთ ბეჭდავს ლოზანას სასამართლოს დადგენილებას კონრადის გამართლების შესახებ. ლიბერალური პრესა მხოლოდ დამახასიათებელ სათაურებს ბეჭდავს: „უცნაური ვერდიქტი“, „დამნაშავეთ იქნა ცნობილი უმნიშვნელო უმრავლესობის მიერ“. „დეილი გერალდი“ სწერს: „უცნაური პროცესი არა ნაკლებ უცნაური ვერდიქტით დამთავრდა“; გაზეთი აღნიშნავს, რომ სასამართლო ხელმძღვანელობდა სურვილით დაემცირებია რუსეთის მთავრობა; სასამართლომ, რამოდენიმე დღის განმავლობაში წარმოებულ კომედიის შემდეგ, იცნო, რომ საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლისათვის წინასწარ განზრახულ სიკვდილის მიყენება არ არის მკვლელობა.

საბჭოთა კავშირი და ერთა ლიგა

გარეშე საქმეთა სახ. კომის. პასუხი ერთა ლიგისადმი

მოსკოვი. 19 ნოემბერი. ამხ. ჩიჩერინმა მიიღო ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარისაგან დეპეშა, რომელშიაც თანახმად რუსეთის გზათა სახ. კომისარის მიერ პარიზში მოწვეულ საერთაშორისო რკინისგზის კავშირის კრებაზე გაკეთებულ მოხსენებისა, საერთაშორისო ტეხნიკურ კონფერენციაზე რუსეთის მონაწილეობის შესახებ, საბჭოთა მთავრობას წინადადება ეძლევა წარგზავნოს თავისი დელეგაცია გზათა და ტრანზიტის კონფერენციაზე ჟენევაში 15 ნოემბრისათვის.

ერთა ლიგისათვის გაგზავნილ პასუხში ამხ. ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ გზათა სახ. კომისარიატის წარმომადგენლებმა საერთაშორისო რკინისგზის კავშირის კრებაზე გამოხატეს საბჭოთა მთავრობის აშკარა უარყოფითი დამოკიდებულება საერთაშორისო რკინისგზებზე ერთა ლიგის კონტროლისადმი. ამხ. ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო რკინისგზის კონფერენცია ვერ სცნობს ვერსალის ხელშეკრულებას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა არასოდეს არ სცნობდა. ამგვარად საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისს ამ საკითხში აშკარად გამოხატავდა გზათა სახალხო კომისარიატის დელეგაცია. და კიდეც რომ ეს თვალსაზრისი სხვანაირი ყოფილიყო, საბჭოთა მთავრობა მოკლებულია საშუალებას გაგზავნოს წარმომადგენლები კონფერენციაზე, რომელიც 15 ნოემბერს იხსნება და მოწვევა კი მან მხოლოდ 12 ნოემბერს მიიღო. ამიტომ საკავშირო მთავრობა იძულებულია უშედეგოთ დასტოვოს ერთა ლიგის საბჭოს მიწვევა.

პოლონეთის ამბები

აჯანყების ლიკვიდაცია

ვარშავა. 17 ნოემბ. დაშალეს ქვეითა ბატალიონი, რომელიც კრაკოვში მუშების მხარეზე გადავიდა. სამხედრო ხელისუფლება აწარმოებს ჯარისკაცების რეგისტრაციას გალიციის ნაწილებში; რეგისტრაციის მიზანია გამორკვეულ იქნეს ჯარისკაცების ეროვნება და მათი პოლიტიკური განწყობილება; ასეთი რეგისტრაცია ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რომლის ძალითაც ჯარი ყოველგვარ პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს. პარასკევს კრაკოვში დაატუსაღეს 16 მუშა, რომელთაც ბრალათ ედებათ აჯანყებაში მონაწილეობის მიღება. ჩხრეკა გრძელდება. პოლონეთის სოციალისტურ პარტიის გაზეთ „ნაპრუდ“-ს, რომელიც კრაკოვში გამოდის, სისტემატიურათ ავიწროებენ.

პოლონეთის სოციალისტებმა დაღვარეს მუშათა სისხლი

ვარშავა. 17 ნოემბ. პოლონეთის რადიკალურ ინტელიგენციის ორგანო „გოლოს პრავდი“ სტეპჩინსკის წერილში ამჟღავნებს პოლონეთის სოციალისტთა პარტიის შეთანხმებლობას. გაზეთი აღნიშნავს, რომ პოლონეთის სოციალისტთა პარტიას რომ არ შეშინებოდა კრაკოვის ამბების და 24 საათით მაინც განეგრძო გაფიცვა, მთავრობა გადადგებოდა. სტეპჩინსკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ პარტიის ლაჩრულ პოლიტიკის გამო კრაკოვში უმიზნოთ დაიღვარა მუშათა სისხლი.

პეშლიაკოვსკი გაზეთ „რაბოტნიკ“-ში ცდილობს უშინაარსო ფრაზები გაბათილოს ეს მძიმე ბრალდება.

სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან.

ვარშავა. 17 ნოემბერი. ს. ს. რ. კავშირთან ვაჭრობის განახლების მიზნით დაარსებულმა საფრანგეთ-პოლონეთის კონსორციუმმა, რომელსაც ხელმძღვანელობენ საფრანგეთის ფინანსისტთა ჯგუფი და ლოძის სავაჭრო ბანკი, წერილობითი წინადადება მისცა ს. ს. ს. რ. კავშირის სავაჭრო წარმომადგენელს პოლონეთში დაარსებულ იქნეს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის განახლებისათვის საექსპორტ იმპორტო შერეული საზოგადოება. მოსკოვში იგზავნება ლოძის მანუფაქტურულ სინდიკატის დელეგაცია, რომელიც გამართავს მოლაპარაკებას ლოძის ნაწარმოების ექსპორტის შესახებ.

ანგარიშს ასწორებენ.

ვარშავა 17 ნოემბერი. გაფიცვაში მონაწილეობისათვის პოზნანში სამსახურიდან ითხოვენ 150 რკინისგზელს.

სხვადასხვა

სამხრეთ-სლავია

სამხრეთ სლავია, ბულგარეთი და საბჭოთა კავშირი.

ვენა. 17 ნოემბ. სამხრეთ-სლავიის „სკუპშჩინის“ გარეშე საქმეთა კომისიაში ნინჩიჩმა განაცხადა, რომ სამხრეთ-სლავიის დამოკიდებულება ბულგარეთთან ნორმალურ ხასიათს იღებს.

ოპოზიციის წევრებმა მოითხოვეს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის დაუყოვნებელი განახლება და რუსეთში მყოფ სამხრეთ სლავიის მოქალაქეთა რეპატრიაციის საკითხის საბოლოოდ გადაჭრა.

სპარსეთი

საბჭოთა კავშირი თეირანის გამოფენაზე.

თეირანი. 17 ნოემბ. 22 ოქტომბერს იხსნება სრულიად სპარსეთის შინამრეწველობის გამოფენა თეირანში. საბჭოთა კავშირი გამოფენაზე წარადგენს რუსეთის შინამრეწველობის ექსპონატებს. გამოფენა განათებული იქნება ელექტრონით, რომელსაც მოაწყობს საბჭოთა კავშირის ელექტრო-ტრესტი. გამოფენაზე მოწყობილ იქნება კინემატოგრაფი, სადაც აჩვენებენ ჩრდილოეთ-დასავლეთის კინოს ფილმებს.

იაპონია

იაპონიის ახალგაზრდათა კომკავშირის წევრების მოკვლა.

მოსკოვი. 17 ნოემბერი. კომინტერნის აღმასკომმა მიიღო ცნობა იაპონიაში ახალგ. კომკავშირის წევრების იამაჩიის, ჯუკიჯის, კისაიმიმას, სუზუკის, ნაიოჩის, კონდოს, ხიროზოს და სატოს მოკვლის შესახებ. მკვლელობის გამო დაკითხულმა საპოლიციო უბნის უფროსმა კაპიტანმა კომორიმ განაცხადა გამომძიებელს, რომ აუცილებელი იყო დაპატიმრებულთა დახვრეტა, რადგანაც ისინი იყვნენ მთავრობის საშიშარი მტრებით.

შვეცია

ნობელის პრემია.

სტოკჰოლმი 17 ნოემბ. **ნობელის პრემია ფიზიკაში მიეცა ექიმ მილიკანს კალიფორნიიდან და ქიმიაში—ავსტრიის პროფესორ პრეგლს.**

ოსმალეთი

ელჩების დანიშვნა.

ანგორა. 18 ნოემბერი. [illegible] დაინიშნა ოსმალეთის ელჩათ ლონდონში, რაზედაც ინგლისის მთავრობამ განაცხადა თავისი თანხმობა. „ეინი გიუნ“-ის ცნობით, ოსმალეთის ელჩათ პარიზში დაინიშნება რეფეტ ფაშა, ხოლო ბერლინში რიზა-ნური ბეი.

ნორვეგია

მოითხოვენ პროფინტერნში შესვლას.

ქრისტიანია. 18 ნოემბერი. ტრონდჰეიმის პროფორგანიზაციების გამგეობათა კრება მიღებულ რეზოლიუციაში კიცხავს ნორვეგიის ცენტრალურ პროფორგანიზაციების პოლიტიკას, მათ გათიშვას საერთაშორისო პროფმოძრაობისაგან და მოითხოვს პროფინტერნში შესვლას.

იტალია

შეთანხმებლები იყვნენ, შეთანხმებლებათ დარჩნენ

რომი. 18 ნოემბერი. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ეროვნულმა საბჭომ მიიღო ტურატის რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ყოველგვარ დიქტატურის წინააღმდეგია და ის ცდილობს კავშირი დაამყაროს ამსტერდამის ინტერნაციონალთან. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ შრომის კონფედერაციამ უნდა იმოქმედოს პარტიისაგან დამოუკიდებლად. ეროვნულმა საბჭომ მიანდო პარტიას ნიადაგი მოამზადოს ბურჟუაზიულ და დემოკრატიულ პარტიებთან თანამშრომლობისათვის იმ მიზნით, რომ „აღდგენილ იქნეს ნორმალური პოლიტიკური ცხოვრება“.

წითელ რესპუბლიკაში

რუსეთი

მთლიანი გადასახადის შეგროვება.

მოსკოვი. 19 ნოემბ. პირველ ნოემბრისათვის რ. ს. ფ. ს. რ. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით შემოვიდა 247.100.000 ფუთი ჭვავისა და ხორბალის ერთეული, მათ რიცხვში ნატურით 54.100.000 ფუთი; პურის სესხი 48.080.000 ფ. და ფულათ-საგადასახადო ერთეულებზე გადარიცხვით 148.6000.000 ფუთი.

შაქრის ქარხნის ამუშავება.

ოდესა. 19 ნოემბ. დანილოვკაში ამუშავეს ამხ. ლენინის სახელობის შაქრის სახელმწიფო ქარხანა.

დაღუპულ გემების ამოღება.

ნიკოლაევი. 19 ნოემბ. ნავთსადგურში ამოიღეს ოთხი დაღუპული გემი.

წითელი კავალერიის მეოთხე წლის თავი.

მოსკოვი. 19 ნოემბერი. ჩვენი წითელი კავალერიის 4 წლის არსებობის თავზე, სამხედრო აკადემიაში გაიმართა ბუდიონელთა დღესასწაული ამხ. კალინინისა და სხვათა თანადასწრებით.

ამხ. კალინინმა მისასალმებელ სიტყვაში სთქვა: „მე ვნახე 1920 წელს როგორ მოიმართებოდა გრძლად გაჭიმული ჩვენი წითელი კავალერია პოლონეთის ფრონტიდან და იმედი აღმეძრა გულში, რომ რაც უნდა ძლიერი და მუხანათი იყოს მტერი, იგი ვერ შესძლებს ჩვენი ცხენოსანი ჯარის შემუსვრას.“

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მიესალმა ამხ. სტალინი და აღნიშნა აუცილებლობა ჩვენი ცხენოსანი ჯარის კვლავ გაუმჯობესებისა.

ახალგაზრდათა კომკავშირის შობა.

მოსკოვი. 18 ნოემბერი. რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა ადგილებს გაატარონ მიმდინარე წელში მუშათა ახალგაზრდობის შორის კომკავშირის შობა, როგორც საბუნებისმეტყველო — მეცნიერულ ცოდნათა მასიური პროპაგანდის კამპანია და გაატარონ აგრეთვე ახალგაზრდობის შორის საუბართა და ლექციათა ციკლი სარწმუნოების როლის შესახებ კაცობრიობის ისტორიაში. დღესასწაულის დაწყებამდე ყველა [illegible] იქნეს საკითხები სარწმუნოებრივ დღესასწაულებისა და ახალ ყოფა-ცხოვრების შესახებ.

გლეხებმა საეკლესიო უქმეების მაგიერ რევოლიუციური უქმეები დააწესეს.

ტვერი. 18 ნოემბერი. ბეჟეცკის მაზრის სოფ. სიდოროვოს გლეხებმა გააუქმეს ყაზანის ღვთისმშობლის დღესასწაული და იმის მაგიერ დღესასწაულად დასდეს ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის ფრონტზე.

ბაქო 17 ნოემბრის პირველ 10 დღის განმავლობაში ბაქოს ყველა სამრეწველოებში ამოუღიათ 6.731.315 ფუთი ნავთი. აქედან სამანქანო წესით 4.012 640 ფ. კომპრესურებით 2.285.160 ფ. ჩადრევნად ამოხეთქილა 295,500 ფ. ყველა ჭებიდან ამოღებულ ნავთის ყოველდღიური რაოდენობა საშუალოდ უდრიდა 1.721 ფ. იმავე 10 დღის განმავლობაში ჩაუბურღავიათ 716 საჟენი, ბურღვაში ყოფილა 128 შტანგინი და 45 საცრიალებელი დაზგა. ბურღვაზე მუშაობდა 8,718 კაცი, აქედან 5.550 მოიჯარადრეთა ხარჯზე იყო.

ნოემბრის პირველი 10 დღის განმავლობაში ამოღებული ნავთიდან საქაჩავში მიშვებული იყო 1.660.76 ფუთი. დაუმუშავებიათ ნავთის ზეთ ულობა 337 523 ფ. საპოხი ზეთი 60,417 ფ. მაზუთი—838,024 ფ, ნარჩენი ნაწარმოები 395,867 ფ. ნოემბრის პირველი 10 დღის განმავლობაში გაუტანიათ ზღვით 3 020,3 ფუთი, რკინის გზით—219,964 ფ. ნავთის მილებით გადაუქაჩია 646,791 ფუთი.

შავი ყვავილი.

ლენქორანი. 17 ნოემბერი. ლენქორანის მაზრის სებიდას კუთ შავი ყვავილი მძვინვარებს. ბევ კვდება. მედიკამენტები არ იშოვება. ადგილობრივმა ამბულატორიამ მ მართა ჯანმრთელობის სამაზრო გ ყოფილებას, რათა მიაწოდოს ლი მაგრამ უნაყოფოდ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(19 ნოემბერი).

ჩერვონცები — — —	134,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	126,000
ჩეკები —	119,700
დოლარები ეფექტ. —	29,000
ჩეკები	27.000
ოსმ. ქაღ. ლირა	15.150
იტალიური ლირა	870
ფრანგული ფრანკი	1360
საბჭ. ფულის ნიშნები	12

მუშკოოპის ფასები.

პური 1 ხარ.—600 ათ., პური 2 ხარ.—450, ძროხის ხორცი—1500 მ. ცხვრის ხორცი—1,850 ათ., შაქარი რაფინადი 5800 ათ., ფხვნილი შაქარი 3600 ათ., კარტოფილი—225 ათ., მაკარონი 1750 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ.—600—800 ათ., პური 2 ხარ—500 ათ., ძროხის ხორცი 1700—1800 ათ., ცხვრის ხორცი—2 მილ., შაქარი რაფინადი—6.000 ათ., ფხვნილი შაქარი—3,800, მაკარონი—1,850. კარტოფილი—250 ათ.

ბირჟის მიწოდება.

ლაგოდეხის თამბაქო 1 და 2 ხარ. ლურსმანი. ფხვნილი შაქარი რუს. „იავა“-სი. შაბიამანი. კანიფოლ ჩაი. რუს. მანუფაქტურა. ქიმიური ნაწარმოები. ფანჯრის მინა. ტიური სოდა. ასანთი რუს. საპონ ოლიფას ზეთი. ცემენტი და ნიტი. მზესუმზირას ზეთი. ელექტ მექანიკური მასალა. ქვა-მარილი ხიჩევანის. ყუბანის ფქვილი. საქ მაკარონი და ვერმიშელი 2 ხარ.

ბირჟის მოთხოვნილება.

რუს. შაქარი რაფინ. და ფხვნ რუს მანუფაქტურა. სალომასი. მზ ზირის ზეთი. პორტლანდის ცემ ყუბანის ფქვილი (საკანდიტ.) ნიკური ცხიმი. ლურსმანი. ჩაი. თი რუს.

ოფიციალური გარიგებანი

რუს. „ბიაზი“ 16 ვერშოკ. 4 მეტრში, ფრანკო-გამყიდველის ყობი. ფხვნილი შაქარი სა გარეთ.—11 მან. ჩერვ. ფუთში კო ბათომში და 11 მ. 50 კ. ფრანკო-გამყიდველის საწყობი ლისში.

ქალთა შორის პარტმუშაობის ხუთი წლის თავი

ქალთა შორის მუშაობა 1917—1921 წ.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციის წინ პარტიული ორგანიზაციები სრულებით დაცარიელებული და მისუსტებული იყვნენ, პარტიის ბელადები საზღვარ-გარეთ იყვნენ გადახვეწილნი. უბრალო წევრთა უმეტესობა მომქმედ არმიაში და სამხედრო დაწესებულებებში იყო გაწვეული.

1916 წლის დასასრულს სამი წლის ომით გამოწვეული რღვევა მეურნეობისა თანდათან ძლიერდებოდა და საშიშარ ხასიათს ღებულობდა მეფის მთავრობის უაზრო პოლიტიკის გამო. ხსენებული წლის ზამთარი მეტად სუსხიანი და მძიმე შეიქნა ქალაქის ღარიბესი ნაწილისათვის; მუშებსა და გლეხებს მოთმინება გამოელიათ. სავაჭროებში სურსათის ნატამალიც აღარ მოიძებნებოდა. გაჩნდებოდა თუ არა რომელიმე სავაჭროში ცოტა რამ სურსათ-სანოვაგე ან საქონელი, ქუჩაში რიგის გრძელი კუდები იყო ჩამწკრივებული და ვაჭარიც ისეთ ფასათ ყიდდა, როგორც მას მოესურვებოდა. ომში გაწვეულ მუშებისა და წვრილი მოხელეების ცოლები და დები მთელ დღეს ქუჩაში, რიგებში ალამებდენ; იყვნენ მშიერნი, ტიტველნი და მუდამ თვალწინ ქონდათ წარმოდგენილი თუ როგორ იტანჯებოდენ ამ დროს სახლში დატოვებული ავადმყოფი ბავშვები სიმშილისა და სიცივისაგან. რიგში მყოფ ქალებს ხშირად ესმოდათ უფრო აქტიური და გაბედული ქალებისაგან აღშფოთება და უკმაყოფილება შექმნილი მდგომარეობით და თვითონაც შეეჩვიენ თანდათან ასეთი უკმაყოფილების გამოთქმას, ომიანობის გამო ფაბრიკა-ქარხნების დაზგებთან თავმოყრილ აუარებელი მუშა-ქალებიც მიეჩვიენ დამოუკიდებელ ცხოვრებას და აქტიურ მოქმედებას. პარტიული ძალებიც აჩაღებდენ მათში აგიტაცია პროპაგანდას და ამნაირად მზადდებოდა მომავალი რევოლიუციის ცეცხლი.

პეტროგრადში პარტიული ამხანაგების ხელმძღვანელობით დაიწყო მზადება მუშა-ქალებში 8 მარტის, ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის ჩასატარებლად. წამოყენებულ იქნა შემდეგი ლოზუნგები: „ძირს ომი, რომელიც დაიწყო ბურჟუაზიამ თავის სასარგებლოდ“. „ძირს თვითმპყრობელობა, რომელმაც უფლება ახადა და მონებად აქცია რუსეთის მუშები და გლეხები, გაუმარჯოს მუშათა კლასს და ღარიბ გლეხობას, რომელნიც თავის ბრძოლით მეფისა, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინაალმდეგ სრულ თავისუფლებას ანიჭებს ქალებს და ქმნის ახალ საზოგადოებას შრომისა და თანასწორობის საფუძველზე“

22 თებერვლიდან დაწყებული დემონსტრაციები 23 თებერვლიდან გადაიქცა რევოლიუციონურ ცეცხლათ, რომელიც სწრაფად მოედვა რუსეთის ყველა კუთხეს. ამ გამოსვლებში ქალები მხურვალე მონაწილეობას იღებდენ. მეფის თვითმპყრობლობის დამხობის შემდეგ ბურჟუაზია შეეცადა ჩაეგდო ხელში ძალა-უფლება, გაეგრძელებია ომი და ძველებურად ჩაეღრჩო მუშები და გლეხები სიბნელეში, ტანჯვაში და წვალებაში. მაგრამ ბოლშევიკების პარტია უკვე საკმაოდ მოღონიერდა ამ ხანებში და მან შესძლო მშრომელთა სწორი, კომუნისტური გზით წაყვანა და ძალაუფლების ახალ მესვეურთა დამხობა.

დიდი ყურადღება მიაქციეს ბოლშევიკებმა ქალებსაც. ქალთა მშრომელი მასა სიამოვნებით გადადიოდა ბოლშევიკების მხარეზე და ბოლშევიკებმაც გამოყვეს სპეციალური მომუშავენი—უმთავრესად ისევ ქალები, რომელნიც მართავდენ კრებებს და ესაუბრებოდენ მუშა და გლეხ ქალებს, განსაკუთრებით კი იმ ჯარის კაცების—მუშა და გლეხების ცოლებს, რომელნიც მეფის მთავრობამ და ბურჟუაზიამ თავის სარგებლობისათვის სასაკლაოზე გარეკა.

თითქმის ყველა ქალაქებში დაარსდა **ჯარის კაცთა ცოლების სპეციალური კომიტეტები,** (პეტროგრადში, მოსკოვში, ყაზანში, სამარაში, მინსკში და სხვა ადგილებში).

ოქტომბრის გადატრიალების დღიდანვე ბოლშევიკების მთელი ძალები ძალაუფლების ხელში შესანარჩუნებლათ იყო დარაზმული. პარტიის ყველა წევრები ჩაბმული იყვნენ მუშაობაში საბოტაჟნიკ-ინტელიგენტებისა და მოხელეების მაგიერ. პარტიულ მომუშავეთა უმეტესი ნაწილი ირაზმება და იგზავნება ფრონტზე თეთრ-გვარდიელების წინაალმდეგ. დანარჩენი ამხანაგები კი შიგნით ეწეოდენ მუშაობას.

ამ დროს მუშაობა ქალებში შეჩერდა, მაგრამ ქალები არც კი უცდიდენ, როდეს მივიდოდენ მათთან ბოლშევიკების წარმომადგენელნი; ისინიც იქ იყვნენ, სადაც დანარჩენი მასა, ყველანი დადიოდენ კრებებზე და მიტინგებზე, ყველგან დაინახავდით სიხარულით გაბრწყინვებულ სახეს ქალებისას. აკი დაამთავრეს ომი ბოლშევიკებმა. ახლა ქმრები და ძმები დაბრუნდებიან სახლში. გლეხი ქალების უმრავლესობაც ბოლშევიკებს უმადლიან და ეხმარებიან, რადგან ამ უკანასკნელმა მისცა მათ მიწა, ზავი, მშვიდობიანობა. მაგრამ მალე რევოლიუციის ზეიმს თან მოყვა ახალი ომიანობისა და რღვევის მძიმე დღეები. ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალები ებმება სამოქალაქო ომში. ამ ომმა კი საბოლოოდ დასცა და გაანადგურა მეურნეობა. ხვნა-თესვა შესწყდა, ფაბრიკები გაჩერდა. ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს მიეცათ პური მშიერი მოსახლეობისათვის. ქალები და ბავშვები დაიმშა. გაისმა ისევ უკმაყოფილოთა ხმა: მოგვატყუეს, არ მოგვცეს პური. გლეხი ქალები გაიძახიან: მიწა მოგვცეს, მაგრამ ქმრები არ დაგვიბრუნესო. შეიქმნა ნიადაგი პროვოკაციისთვის და ყველაზე ადვილად ასეთი პროვოკაციის მსხვერპლი შეიძლებოდა გამხდარიყო ჯერ ისევ ბნელი და ცხოვრების მოვლენებზე ღრმა ფიქრსა და აზროვნებას შეუჩვეველი ქალი. კომპარტია უნდა მისულიყო და აეხსნა მისთვის—რატომ არ უნდა დაეჯერებია მას მშრომელთა მტრებისათვის.

ქალებში სისტემატიური მუშაობის დასაწყებათ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია 1918 წ. შემოდგომაზე მუშა და გლეხი ქალების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა. ც. კ-თან დაარსდა ხსენებული ყრილობის მომწვევი ბიურო ამხ. კოლონტაის თავმჯდომარეობით.

1918 წ. 16 ნოემბერს გაიხსნა ყრილობა, რომელსაც დაესწრო რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებიდან ჩამოსული 1200 დელეგატი, მრავალ მილიონ ქალების წარმომადგენლები. გარდა მიმდინარე საკითხებისა და საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობისა ყრილობამ გაარჩია შემდეგი საკითხები:

1) მუშა ქალთა ამოცანები საბჭოთა რუსეთში; 2) ოჯახი და კომუნისტური სახელმწიფო; 3) სოციალური უზრუნველყოფის ამოცანები; 4) საერთაშორისო რევოლიუცია და მუშა ქალი; 5) კომპარტია და მუშა ქალი; 6) მუშა ქალი სახალხო მეურნეობაში და შინა-მეურნეობაში; 7) სოციალური აღზრდის ამოცანები; 8) პროსტიტუციასთან ბრძოლა საბჭოთა რუსეთში; 9) ბრძოლა ბავშვთა შრომასთან; 10) საორგანიზაციო საკითხები.

ყველა ამ საკითხებზე ყრილობამ მიიღო მნიშვნელოვანი რეზოლიუციები, რომლებშიდაც ამომწურავი პასუხია ქალთა მოძრაობის მომავალი განვითარების და კომპარტიის მასთან დამოკიდებულების შესახებ.

ყრილობის დამთავრების შემდეგ ცენტრალურ, საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებთან დაარსებულ იქნა სპეციალური კომისიები ქალთა შორის აგიტაციისა და პროპაგანდის საწარმოებლათ; ამათ ამოცანას შეადგენდა საგიტაციო მუშაობის მოწყობა, მიტინგების და კრებების გამართვა, სპეციალური ლიტერატურის გამოცემა და სხვა.

ცენტრალურ კომიტეტთან არსებული კომისია შესდგებოდა 7 პირისაგან: ამხ. ამხ. კრუპსკაია, კოლონტაი, ინესა არმან, სამოილოვა, ლილინა, ნიკოლაევა და გოლუბევა.

კომისია შეუდგა მუშაობას, მაგრამ ზაფხულში დაწყებულმა სასტიკმა ბრძოლებმა თეთრგვარდიელების წინაალმდეგ აიძულა პარტია მთელი თავისი ძალები ფრონტზე გაეგზავნა. კომისიის მუშაობაც თითქმის სრულებით შეჩერდა. მხოლოდ 1919 წლის შემოდგომაზე პარტიამ წამოაყენა საკითხი ამ მუშაობის გაძლიერებლად.

ქალთა შორის მომუშავე კომისიები შეცვლილ იქნა მუდმივი განყოფილებებით თანამშრომელთა განსაზღვრული შტატით.

ასეთივე განყოფილება დაარსდა რ. კ. პ. ც კომიტეტთანაც. ქალთა განყოფილების გამგეთ დაინიშნა ამხ. ინესა არმან და მან 1919 წ. მოიწვია 1 თათბირი ახლად დაარსებულ საგუბერნიო განყოფილებების გამგეებისა. ამ თათბირმა გადასინჯა, ჯამი გაუკეთა გასულ მუშაობას და საბოლოოდ გამონახა ქალთა შორის მუშაობის საორგანიზაციო ფორმები.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი რევოლიუციის პირველ პერიოდში მუდმივი ბრძოლა სწარმოებდა ყოველი მხრივ რკალივით შემორტყმულ მტერთან. ჩვენი საშვალებები თითქმის მთლად წითელ არმიას უნდებოდა, მაგრამ ამ საშინელი გაჭირვების დროს საბჭოთა მთავრობა მაინც ახერხებდა ქალთა მდგომარეობისთვის ჯეროვანი ყურადღების მიქცევას.

მიუხედავათ იმისა, რომ რესურსები ძალიან მცირე იყო და საჭიროება მოითხოვდა ისიც წითელი არმიისათვის გაეგზავნათ, საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა დედათა და ბავშვთა დაცვის დაწესებულებების შენებას და ბავშვთა სახელმწიფო აღზრდის მოწყობას; ხოლო ამან ნათლად დაანახვა ქალებს თუ რის მიცემა შეუძლია მათთვის საბჭოთა ხელისუფლებას, დაუმტკიცა მათ თუ რატომ უნდა იბრძოლონ ამ ხელისუფლების განსამტკიცებლათ.

ბნელ და ჩამორჩენილ მუშა და გლეხი ქალის შესაგონებლათ არ კმაროდა მარტო სიტყვები. საჭირო შეიქნა ამ სიტყვების საქმით დამტკიცება. ამნაირად დაიბადა ძირითადი მეთოდი ჩვენი მუშაობისა ქალებში რევოლიუციის პირველ პერიოდში—აგიტაცია მუშა და გლეხი ქალების უშუალოდ ჩაბმით, მათი ცხოვრების გასაუმჯობესებლათ საჭირო დაწესებულებების მოწყობის საქმიანობა. უფრო შეგნებული და აქტიური მუშა და გლეხი ქალები ჩვენ დაუკავშირეთ საბჭოთა ხელისუფლების იმ ორგანოებს, რომელთაც დაკისრებული ქონდათ დედათა და ბავშვთა დაცვის, ბავშვთა სახელმწიფოებრივი აღზრდის, ქალის შრომის დაცვისა და სხვა დაწესებულებების მოწყობა. ჩვენ გავყავდა დელეგატი ქალები პრაქტიკანტებათ საბჭოთა შემდეგ განყოფილებებში: სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, შრომის დაცვის.

მუშაობის ამ მეთოდებმა დადებითი შედეგები გამოიღო, ქალთა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო და მუშა და გლეხი ქალები ბოლომდე დარჩენ იმ პარტიის დროშის ქვეშ, რომელიც ამაყად ფრიალებს დედამიწის თითქმის ერთ მეექვსედზე.

ოქტომბრის რევოლიუცია და მშრომელი ქალი

ოქტომბრის დიდმა პროლეტარულმა რევოლიუციამ დაანგრია სახელმწიფოს ძველი ფორმა და გადასცა პროლეტარიატს სახელმწიფო ძალაუფლების მესვეურობა.

თავისთავად ცხადია, რომ მაშინ, როდესაც პროლეტარიატი არ სარგებლობდა არავითარ უფლებებით, პროლეტარ ქალისათვის თანასწორ უფლებიანობაზედ ლაპარაკი ზედმეტი იყო; ქალი ბურჟუაზიის ბატონობის დროს წარმოადგენდა ოჯახის კერასთან მიჯაჭვულ გასართობ საგანს, ლამაზ არსებას, და არა სრულუფლებიან მოქალაქეს.

მხოლოდ პროლეტარულმა ხელისუფლებამ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება მრავალ წლობით მონობაში მყოფ ქალის მდგომარეობას და მიანიჭა მას მამაკაცთან თანასწორი უფლებები. ქალს მიეცა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში და საბჭოთა აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღების უფლება. გაჩნდნენ პროფკავშირებში მომუშავე ქალები, ნაფიცი მსაჯულები და დიპლომატიური წარმომადგენლებიც კი.

მშრომელ ქალთა უფრო მეტი ამოძრავების და სახელმწიფო მართვა-გამგეობაში უფრო აქტიური მონაწილეობის მიზნით რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ ხუთი წლის წინეთ, 1918 წ. აგვისტოს 16 დასვა საკითხი ქალთა შორის სამუშაოდ განსაკუთრებული აპარატის დაარსების შესახებ. ამ აპარატის ჩამოსაყალიბებლად იქნა გამოყოფილი სპეციალური კომისია ამ. ალ. კოლონტაის თავმჯდომარეობით, და ამხ. ინესა არმანდის, სამოილოვას, ნიკოლაევას და სხვა ამხანაგთა მონაწილეობით.

1918 წლის 16 ნოემბერს მოწვეულ იქნა სრულიად რუსეთის ქალთა პირველი ყრილობა, რომელმაც ქალთა მოძრაობაში წამოჭრილ ყველა კითხვებზე ამომწურავი პასუხი მისცა თავის რეზოლიუციებში.

ყრილობის შემდეგ დაარსდა როგორც ცენტრში, აგრეთვე გუბერნიებში და მაზრებში ქალთა შორის სამუშაოდ მუდმივი აპარატები ქალთა განყოფილების სახით. და ამ დღიდან იწყება ქალთა შორის სისტემატიური მუშაობის ისტორია. გარდა მასიური აგიტაცია-პროპაგანდისა და კონფერენციების მოწვევისა აღნიშნულმა განყოფილებებმა უმთავრეს ამოცანად დაისახეს სადელეგატო ინსტიტუტების დაარსება, რომელიც შესდგებოდა ფაბრიკა-ქარხნებიდან და გლეხის ქალთა კრებების მიერ არჩეულ ქალებიდან. სადელეგატო კრებებზე შუქდებოდა საბჭოთა, პროფესიონალური და პოლიტიკური კითხვები. სადელეგატო კრებები მშრომელ ქალთათვის შეიქმნა სკოლად, სადაც ამ 5 წლის განმავლობაში გაიწვრთნა და გაიზარდა რეზერვი აქტიურ მომუშავე ქალთა საბჭოთა ხელისუფლების ყოველ დარგში.

რაც შეეხება საქართველოს, 1921 წლამდე აღნიშნულ მუშაობის საშუალებას მოკლებული ვიყავით, რადგანაც საქართველოში 21 წლამდე ყოფილი, ვითომდა სოციალისტური მთავრობა ერთნაირად სდევნიდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლ რევოლიუციონურ პროლეტარიატს და მასთან ერთად ქალთა ორგანიზაციებსაც.

დღეს კი, როდესაც საქართველოს მშრომელ ქალებს გვაქვს საშუალება ყველა ზემოდ აღნიშნულ მუშაობის შესრულებისა საქართველოს ქალაქებში და დაბა-სოფლებში ქალთა განყოფილებების გარშემო მშრომელ ქალთა საკმაო რაოდენობა იყრის თავს და საქართველოს მუშა და გლეხი ქალებიც მამაკაცებთან ერთად იბრძვიან კომპარტიის დროშის ქვეშ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის.

თ. ადამიძე.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

16 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 3 გარიგება, სულ 2491 მან. ჩერვონეცით.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსი, გარდა საბჭ. ფულის ნიშნებისა, კვლავ ზევით იწევს.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის საფინანსო-ეკონომიური ბიუროს მოქმედება.

ამა წლის თებერვალში ა. კ. ფინანსთა კომისარიატთან დაარსდა საფინანსო-ეკონომიური ბიურო, რომლის დანიშნულებას შეადგენდა ახლად წამოყენებულ საფინანსო და ეკონომიური პრობლემათა შესწავლა.

ბიურო შედის ფინანსთა კომისარიატის შემადგენლობაში, როგორც საგანგებო სამმართველო, ჰყავს თავისი პრეზიდიუმი და შესდგება სამი განყოფილებისაგან (ეკონომიური, სტატისტიკური და საინფორმაციო საგამომცემლო). პრეზიდიუმი ბიუროს მუშაობის ხელმძღვანელობას გარდა სისტემატიზაციას უკეთებს პრესისთვის დამუშავებულ მასალას.

ბიუროს განყოფილებების საერთო მოქმედება.

ბიუროს მთელ შემადგენლობის მოქმედების სურათს იძლევიან მისი სხდომები რომელშიც მონაწილეობას იღებდენ ტფილისის საუკეთესო ფინანსისტები და ეკონომისტები. იმ კითხვათა შორის, რომლებიც განხილულ იქნენ ამ სხდომებზე, აღსანიშნავია ისეთი სერიოზული საკითხები, როგორიც არიან—მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, სამრეწველო ბანკის გახსნა ამიერ კავკასიაში, ტფილისის საქალაქო ბანკის გახსნა, სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის შემოღება და სხვა საკითხები.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხი.

საფინ.-ეკონომ. ბიუროს ინიციატივით ეს საკითხი, რომელმაც უკვე გაიარა მთელი რიგი სხვადასხვა ინსტანციებისა, კვლავ იქნა განხილული ბიუროში. ბიუროს პრინციპიალური აზრი ამ საკითხის შესახებ უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ საჭიროა უახლოეს დროში გადასვლა ამიერ-კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მხოლოდ ფულით გადახდევინებაზე.

ამ საკითხის პრაქტიკულად განსახორციელებლად ბიურომ შეიმუშავა გადასახადთა განაკვეთების ცხრილი, რომელიც შემდეგ შეუცვლელად დადასტურებულ იქნა საკანონმდებლო წესით. გარდა ამისა ბიურომ ზედმიწევნით განიხილა საკითხი ამიერ-კავკასიის რაიონებათ დაყოფის შესახებ. რაიონები ორგვარია: ნატურალურ დაბეგვრის და ფულადი დაბეგვრის. რაიონებათ დაყოფა ბიურომ უკვე დაამთავრა სასოფლო კულტურის ხასიათის მიხედვით.

სამრეწველო ბანკის დაარსების საკითხი.

ამ საკითხში ბიურო მიემხრო ამიერ-კავკასიის ეკონომიურ თათბირზე გამოთქმულ აზრს, რომ აუცილებელია ამ მოკლე ხანში საკრედიტო დაწესებულებების გახსნა სამრეწველო ბანკის სახით.

საქალაქო ბანკის ტიპიური წესდების შემუშავება.

ბიურომ, მიიღო რა მხედველობაში მწვავე საბინაო კრიზისი საზოგადოდ და კერძოდ ტფილისში, სადაც უკვე 8 წელიწადია, რაც სახლების შეკეთება და ახალი სახლების აშენება თითქმის შეწყდა, საჭიროდ სცნო ამ მიზნით სპეციალური საკრედიტო დაწესებულების ორგანიზაცია და შეიმუშავა საქალაქო ბანკის ტიპიური წესდება. სხვა ბანკებისაგან ეს ბანკი იმით განსხვავდება, რომ აძლევს როგორც გრძელვადიან ისე მოკლევადიან სესხს და მიზნათ ისახავს კრედიტის მიცემას საბინაო აღმშენებლობისთვის, კომუნალური მეურნეობის და ადგილობრივ ვაჭრობისა და მრეწველობისათვის.

ჩემო-ში

შავი ქვის საგანგებო სამმართველოს განცხადება.

„ჩემო“-ში შემოვიდა შავი ქვის საგანგებო სამმართველოს განცხადება, უკანასკნელის „ჩემო“-ს წევრთა რიცხვში მიღების შესახებ, როგორც ცალკე საწარმოო ფირმის.

სასოფლო მეურნეობა

ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლა კახეთში

მიწათმოქმედების კამისარიატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლას. სხვათა შორის გადაწყვეტილია ჩუმლაყის ამერიკულ ვაზის სახალხო სანერგეში გადააბრუნონ წელს ოცი დესეტინა მიწა და დარგონ საუკეთესო ამერიკული ვაზის ჯიშები, რომლებიც შეეფერება კახეთის მიწა-წყლის და ჰაერს. მუშაობას ამ დღეებში შეუდგებიან.

კომისარიატმა გადასცა კახეთის მევენახეთა კოოპერატივს „წინანდალს“ შვიდი დესეტინა მიწა, სადაც გააშენებენ ამერიკული ვაზის სანერგეს. კოოპერატივი „წინანდალი“ ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ არავითარი შეცდომები არ დაუშვან ამერიკული ვაზის ჯიშების ამორჩევაში. ამისათვის კოოპერატივი იწვევს მევენახეობის და მეღვინეობის სპეციალისტს ადგილების დასათვალიერებლათ; ადგილობრივათ, შეერთებულის ძალით იქონიებენ მსჯელობას ვაზის რომელი ჯიშები უნდა დაირგოს და როგორ დამუშავდეს მიწა.

კოოპერატივმა წინანდალმა უკვე შეიძინა გაისისათვის თავის წევრებისათვის საჭირო საწამლო მასალები ვენახებისათვის და აგრეთვე დაურიგა წევრებს მარილი და ფართალი. ამ კოოპერატივის გარშემო მრავალი გლეხობა იყრის თავს. სამწუხაროთ, ჯერ კიდევ კოოპერატივს არ ყოფნის მოწყობილება და ბინა, რის გამო ყველა მსურველების მიღება წევრებათ გამგეობას უჭირს. „წინანდალი“ გაზაფხულზე შეუდგება ნამყენი ვაზის წარმოებას.

აგრეთვე აფართოებს მუშაობას და წარმოებას კოოპერატივი „კახეთი“. სოფელ გურჯაანში „კახეთი“ აპირებს ამერიკული ვაზის სანერგის მოწყობას; წელს მან დაამზადა ევროპიულად ექვსი ათას ვედრამდის ღვინო. კოოპერატივი „კავშირთ-კავშირი“ ამ დღეებში გაანაწილებს თავის წევრთა შორის ნამყენ ვაზს; მომავალში ის კიდევ უფრო გააფართოვებს ნამყენი ვაზის წარმოებას.

აქ უნდა აღვნიშნოთ მეტათ საგულისხმო საქმის დაწყება: მიწათმოქმედების კომისარიატმა ყურადღება მიაქცია ახალი ტიპის ღვინოების გაკეთებას კახეთში. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთ ალაგებში კახეთში შეიძლება მიწა-წყლის და ჰაერის მიხედვით მაგარი და ტკბილი ბუნებრივე ღვინოების წარმოება. კომისარიატმა წელს ეს საქმე მიანდო მეღვინე ვ. კანდელაკს, გადასდო საჭირო თანხა და მეღვინემ რამოდენიმე ათასი ვედრა ახალი ტიპის ღვინო დააყენა. ამხ. კანდელაკი მცოდნე და გამოცდილი მეღვინეა და იმედია ის ამ საქმეში ბევრს მიაღწევს.

პროფკავშირებში

მბეჭდავთა კავშირის სრ. საქართველოს მესამე ყრილობა

ყრილობის გახსნა.

კვირას, 18 ნოემბერს მბეჭდავთა კავშირის ცენტ. კლუბში (რუსთაველის პრ. № 39) გაიხსნა მბეჭდავთა კავშირის სრ. საქართველოს ყრილობა, რომელზედაც წარმოდგენილია საქართველოს ყველა კუთხეები.

ყრილობას ხსნის კავშირის ცენტრ. გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ნიკიტინი, რომელიც ყრილობას მისასალმებელი სიტყვით მიმართავს და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას.

ამხ. ნიკიტინის მისალმების შემდეგ ყრილობას ესალმებიან კავშირის ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ხარაზიანი, სამთომადნო მუშაკთა კავშირის წარმომადგენელი ამხ. ხვედელიძე, ახ. კომ. კავშირის სახელით ამხ. სარქისოვი და ს. კომ. პარტიის ცეკას სახელით ამხ. რუბენი.

ყრილობა ადგენს მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს კავშირის ცენტრ. კომიტეტს, საქ. პროფ. კავ. საბჭოს, კომინტერნს და პროფინტერნს.

პრეზიდიუმის არჩევა

ყრილობა ერთხმად ირჩევს პრეზიდიუმში შემდეგ ამხანაგებს: ნიკიტინს, ბოლქვაძეს, არეშოვს, ვილენსკის, ბუიანოვს, მარდალეიშვილს და მირზოიანს.

სამდივნოში არჩეულია ამხ. ამხ. ხარაზიანი და მიხნევიჩი.

საპატიო თავმჯდომარეებად ყრილობა ირჩევს ამხ. ამხ. ლენინს, ტროცკის, ტომსკის, ლოზოვსკის და სანდრო იაშვილს.

ერთხმად ამტკიცებს დღის შემდეგ წესრიგს: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, 2) ცენტრალურ გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) საორგანიზაციო საკითხი 4) კულტურულ განმანათლებელი საკითხი 5) სატარიფო—ეკონომიური საკითხი, 6) უმუშევრობა, 7) კოოპერაცია, 8) არჩევნები.

საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ვირაპი, რომელიც უმთავრესად ჩერდება გერმანიაში დატრიალებულ ამბებზე და აშუქებს ამ ამბების მნიშვნელობას საერთაშორისო რევოლიუციისათვის.

მოხსენების დასასრულს მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიდაც მბეჭდავთა ყრილობა ესალმება გერმანიის პროლეტარიატის მიერ ბრძოლის დაწყებას შინაურ და გარეშე ბურჟუაზიის წინაალმდეგ, აღუთქვამს, დახმარებას და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას რევოლიუციის გამარჯვებაში.

საბჭოთა სასამართლოში

ბახჩიევის საქმე

გუშინ დილის 11 საათზე შრომის სასამართლოში მოსმენილ იქნა ბახჩიევის საქმე. ბახჩიევის წინააღმდეგ საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირმა აღძრა საჩივარი, რომელშიც იგი მოითხოვდა ბახჩიევის მიერ დათხოვნილ მოსამსახურეთათვის სალიკვიდაციო ფულების მიცემას. საჩივარში აღნიშნულია თანხა 1.236 საქონლის მანეთი. ბახჩიევი თანხმაა გადაიხადოს აღნიშნული თანხა, მაგრამ იმ კურსით, რომელიც გამოცხადებული იყო 31 ოქტომბრისათვის. ამასთანავე ის აცხადებს, რომ 1 ნოემბერს მან წარმოადგინა ფული კავშირში, მაგრამ კავშირმა ეს ფულები არ მიიღო. ირკვევა, რომ ბახჩიევს კავშირთან შეთანხმებით უნდა წარედგინა ფულები 31 ოქტომბერს 4 საათზე. დამცველის შეკითხვაზე, შეასრულა თუ არა მან თავისი დაპირება, ბახჩიევი პირდაპირ პასუხს არ იძლევა და სცდილობს სასამართლოს მისცეს მიკიბულ-მოკიბული განმარტება.

შემდეგ მოსამსახურეთა დაკითხვიდან ირკვევა, რომ 2 ნოემბერს ისინი მივიდენ ბახჩიევთან, რომელმაც განუცხადა მათ, რომ ისინი წასულიყვენ ხაზინაში ფულების მისაღებად. ხაზინაში მისვლის შემდეგ მათ გაიგეს, რომ იქ არავითარი ფული არ იყო. დამცველთა შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა ასეთ შემთხვევას ადგილიო, ბახჩიევი უპასუხებს: „არ მახსოვსო“ 2 საათზე საქმის გარჩევა დასრულდა. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოქვეყნებული იქნება ხვალ.

ქრონიკა

სეით დევდარიანის დატუსაღება

კვირას, საქ. საგანგებო კომისიის აგენტებმა დაატუსაღეს თბილისში ყოფ. მენშევიკური პარტიის ერთი ბელადთაგანი სეით დევდარიანი.

— **მცირე მიწიანი სოფლები.** ქ. ალმასკომის მიწად-მოქ. განყოფილების მიერ ტფილისის მაზრაში ამჟამად აღრიცხულია 26 სოფელი, რომელთაც მიწები არ ყოფნით და სადაც ჯერ არც მიწებია ჩამორთმეული ნორმაზე ზევით.

— **სურსათ-სანოვაგის გასინჯვა.** ქ. ქიმიურ-ლაბორატორიამ 1923 წლის 9 თვის განმავლობაში მოახდინა სურსათ-სანოვაგის გასინჯვა 2884-ჯერ. უვარგისი სურსათ-სანოვაგე აღმოჩნდა 1521-ჯერ.

— **მიწის რეფორმა.** ტფილისის მაზრაში მიწის რეფორმის ჩასატარებლათ სექტემბრამდე დახარჯულია 245 სამუშაო დღე.

— **ქალაქის მიკროსკოპიული სადგურების მოქმედება.** 1923 წ. იანვრიდან—სექტემბრამდე ქ. მიკროსკოპიულ სადგურების მიერ გასინჯულია—15.849 ფუთი ხორცი, აქედან უვარგისი და დაავადმყოფებული ხორცი აღმოჩნდა—520 ფუთი.

— **შრომის ბირჟა.** 17 ნოემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 25 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა—23, სამუშაოზე გაიგზავნა—64.

— **პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება.** დღეს, საქ. მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მორიგი სხდომა, რომელზედაც პროფ. ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქართული დიპლომატიკის საფუძვლები“.

— **ცუდი ამინდები დასავლეთ საქართველოში.** ქუთაისიდან მიღებულ ცნობებით, უკანასკნელ ხანებში, დასავლეთ საქართველოში ცუდი ამინდები დაიჭირა და ახლო მდებარე მთები ჩამოთოვა.

— **უცხო ენების კურსები.** პროფგანყოფილების მთავარ მმართველობის განმარტების თანახმად ტფ. უცხო ენების კურსებზე სწავლა იქნება ფასიანი. მოწაფეები განთავისუფლებული იქნებიან სწავლის გადასახადისაგან განსაკუთრებულ შემთხვევებში თვით კურსების შუამდგომლობით.

— **სამხედრო ბეგარის მოხდის გადადება.** პროფგანათლების მთავარმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა სამხედრო კომისარიატის წინაშე, რომ მეორე ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის კურს დამთავრებულ პრაქტიკანტებს სამხედრო ბეგარის მოხდის ვადა გადაედოთ პრაქტიკის დამთავრებამდე.

— **საქართველოს შარა და რკინის გზების შეკეთება.** საქართველოს კომუნალურ მეურნეობათა გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს, რომ ადგილობრივ აღმასკომებს ჩამოერთვათ გზების შესაკეთების უფლება და ამ საქმის გამგებლობა გადაეცეს სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტს.

— **კოოპერაციის მდგომარეობა.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ცნობით საქართველოს კოოპერაციას, მიუხედავათ ბაზრის ფასების მერყეობისა—ცვლილება არ ეტყობა. რაც შეეხება აზერბეიჯანს და სომხეთს, იქ კოოპერაციის საქმე შეფერხებულია.

შემთხვევები

— **ბინის გაქურდვა.** 16 ნოემბერს, (ვერის დაღმართი № 7) გაქურდეს მოქ. პროკოფი გოცირიძის ბინა, წაიღებულია 4 მილიარდის ნივთები. ეჭვით შეიპყრეს მოქ. გენრიხ ლონგი.

— **ქურდობა.** 16 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე (პლეხ. პროსპ. № 116) გაქურდეს მოქ. ლუარსაბ ჯაჯანაშვილის ბინა. წაიღეს 2 მილიარდის ნივთები. უკვე შეიპყრეს 13 წლის ბავშვი ვლადიმერ ეგოროვი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი.

— **ქურდის შეპყრობა.** 15 ნოემბერს შეიპყრეს მიხა ბაიანდურაშვილი, რომელსაც ბრალი ედებოდა სხვა და სხვა ქურდობაში.

— **თავის დაჭრა.** 16 ნოემბერს მოქ. ნადეჟდა მიხეილის ასულმა ტორჩინას უეცრათ გაუვარდა რევოლვერი და დაიჭრა.

— **შეპყრობა.** 15 ნოემბერს. შეიპყრეს დავით მეძმარიაშვილი, რომელსაც ბრალი ედებოდა მოქ. მანუჩაროვისაგან ფულის გამოტყუება და სხ.

ხელოვნება

სახალხო სახლი.

„მეფის დალაქი“

კვირას, 18 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა ლუნაჩარსკის პიესა „მეფის დალაქი“.

ეს პიესა დაწერილია 1906 წელში, დაბეჭდილიც იყო ცალკე წიგნათ, მაგრამ სცენაზე მაინც არ თამაშობდენ.

მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ გაიღო მისთვის სცენის კარიები და ამ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში მოიარა ყველა თეატრები საბჭოთა რესპუბლიკებისა.

პიესას ნამდვილი საპროპაგანდო ხასიათი აქვს, და ამ შეხედულებით იგი მართლა მშვენივრად არის აგებული.

არის ვინმე ძლევა-მოსილი, დიდებული მეფე. მისი ჰალარით შემკული სახე მაინც ახალგაზრდულის ეშხით გამოიცქირება.

იგი ქვრივია. მასა ჰყავს ერთად ერთი ასული—გასათხოვრად შეღერებული.

მეფეს შეუყვარდება თავის ასული და გადაწყვეტავს მასზე ჯვარის დაწერას.

პირველად ამ უცნაურ სურვილს გაუმჟღავნებს თავისი აჩრდილივით თანმდევნილ ხუმარას. იგი ხუმარა ასრულებს მეფესთან დალაქის მოვალეობასაც.

შემდეგ ქალიშვილსაც გამოუტყდება, შვილი აღშფოთებულია მამის ამგვარი საზიზღარი ჟინიანობით.

მამა საკანში ჩაამწყვდევს თავის ქალს მოსარჯულებლად.

ყველა წინააღმდეგია მეფის ამგვარი უცნაური სურვილისა:

კეთილშობილნიც, სასულიერო წოდების ბელადი-კარდინალიც, წმიდა მოციქული დოროტეაც.

მაგრამ პირველი გულწრფელი აღშფოთება ყველა ამათი ჩქარა შეიცვლება მეფის სასარგებლოდ.

მეფე ხომ ძლიერია! იგი ბატონთა-ბატონია. ყველა მას უნდა ემორჩილებოდეს თავისი აზრით, შეხედულობით. ამას მოითხოვს თვით მათივე ინტერესი.

და ჩვენი ვხედავთ—თუ მეფის ჟინიანობის სასტიკი მოწინააღმდეგენი უეცრივ როგორ გარდაიქცევიან მის მოსარჩლეთ. და მეფისაგან თავისივე ღვიძლი შვილის შერთვა—ეს მიაჩნიათ ღვთიურ განგებათ, ზეგარდმოსულ ბედნიერებათ და ხალხსაც ამცნენ ქადაგებას, რომ მეფის სურვილი ყოვლად კანონიერია და მოსაწონი.

ყველა მორჩილია მეფისა. ყველა ასრულებს მის სურვილს.

მხოლოდ მეფის ასული მაინც არ ჰნებდება და სულ გამწარებულ წინაალმდეგობას უწევს საქმრო ჟინიანობით აღტყინებულ მამას.

ხუმარა უცქერის ყველაფერ ამას. მას ალბათ გულში არ მოსწონს ეს საზიზღრობა, მაგრამ იძულებულია ხუმრობაში ჩააქუჩოს ყველაფერი და თავისი ადამიანური პიროვნება მხოლოდ მეფის მოსაწონ მანჭვა-გრეხაში გამოჰხატოს.

იგი მეფეს შესთავაზებს პატარა წამალს. თუ მას დაალევინებს თავის ასულს—მაშინ ქალს სრულიად წაერთმევა ნებისყოფა, უნარი წინააღმდეგობისა და მეფესაც შეეძლება იქორწინოს თავისი ჟინით—თავის ასულზე.

მეფე ალევინებს წამალს.

ქალი სულ ერთიან მიიძინებს, მას გაასვენებენ მეორე ოთახში.

მეფე მზათ არის სასძოთ.

მხოლოთ უნდა უფრო ეშხიანი იყოს. უფრო მომჯადოებელი ახალგაზრდულის მშვენებით და უბრძანებს ხუმარას გაჰპარსოს წვერი, სულერთიან გაალამაზოს.

ხუმარა წვერსა ჰპარსავს. მეფე გულზვიადობს თავისი სიძლიერით. თავისზე მაღლა აღარავინ მიაჩნია და ხუმარა, ეს გლახაკი, მხოლოდ აჩრდილია მისი.

მაგრამ ხუმარაში უეცრივ ეღვასავით გაიღვიძებს შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა.

იგი არარაა. მეფე უძლიერესი ვინმეა დედამიწის ზურგზე მაგრამ იგი მაინც ამაყობს, რომ ამ უძლიერეს მეფის სიცოცხლე მისი სამართებლის წვერზე არის დამოკიდებული...

აქ უეცრივ გამოუსვამს სამართებელს ყელში და ძლევამოსილ მეფეს მიწაზე დაანარცხებს.

ხუმარა შეშფოთებული სიხარულით დღესასწაულობს თავის სიძლიერეს და მეფის უბადრუკობას.

პიესაში მთავარ როლებს წარმოადგენს თვით მეფე და მისი ხუმარა.

მეფეს თამაშობდა — თაზიშვილი. კარგი შეწყობილი ხმა და გარეგნობა აქვს, თამაშითაც თაზიშვილი საუკეთესო ძალას წარმოადგენს. მეფისათვის უკეთეს შემსრულებელს ვერც გამოსძებნიდენ თავიანთ წრეში.

მაგრამ თითქოს აკლდა მეფური სიმკაცრე და წონა. უკანასკნელ მოქმედებაში სავსებით ვერ გადმოგვცა რწმენა თავის ძლევამოსილებაში.

ხუმარას ასრულებდა—ადამიძე. მართალია პიესაში ძალიან ნაკლები მჭერმეტყველობა აბადია ხუმარას, მაგრამ ადამიძემ იგი სავსებით შეავსო თავისი მოქნილი და თავისებური თამაშით.

ხუმარა ყველაზე ძნელი როლია და ადამიძემ ღირსეულათ დასძლია იგი. განსაკუთრებით გაბატონდა იგი თამაშობაში უკანასკნელ მოქმედებაში.

კარგი იყო ჩიხლაძის ქალი წმ. დოროტეას როლში, მხოლოდ როლი რომ ცოტა კარგად სცოდნოდა, უფრო უკეთესი იქნებოდა.

მეფის ასულს თამაშობდა—მარგველიშვილი. მას აკლდა ექსტერიერი „მეფის ასულისა“. სხვაფრივ პირნათლად შეასრულა თავისი როლი.

კარგი იყო კარდინალის მოთამაშე—ივერიელი.

სხვა ყველანი ჰქმნიდენ შესაფერ მთლიანობას.

საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს როლების სუსტად ცოდნა. სხვაფრივ პიესას ეტყობა კარგი მომზადება.

დადგმაც და კოსტიუმებიც—მართლა წესიერი იყო.

ხალხი იმდენი იყო, რამდენსაც თეატრი დაიტევდა.

ლელი.

სახელმწიფო ოპერა

„ფრა-დიავოლო“

16 ნოემბერს სახელმწიფო ოპერის სცენაზე განაახლეს საკმაოთ მოძველებული ოაერის კომიკური ოპერა „ფრა-დიავოლო“. ამ ოპერის დადგმა ჩვენს საოპერო სცენაზე არ შეიძლება დამაკმაყოფილებლათ იქნეს ცნობილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ საერთოდ საჭიროა ასეთი დახავსებული ოპერის განახლება აკადემიურ თეატრის სცენაზე, მაშინ აუცილებელია, რომ ოპერა დამთავრებულათ იქნეს დადგმული, როგორც ვოკალურის ისე სცენიურის მხრივ.

16 ნოემბრის წარმოდგენაში კი თავიდან ბოლომდი სჩანდა, რომ ოპერა დადგმული იყო ნაჩქარევათ, თითქოს ურეპეტიციოთ. არ სჩანდა პარტიების არა თუ დამთავრებული, არამედ უბრალო დამაკმაყოფილებელი შესრულებაც. კი (გარდა მოქ. კალანდაძისა, რომელიც მღეროდა ცერლინის პარტიას, ისეცკისა—ყაჩაღი ჯაკომო და იანსისა—ლედი პამელი, მაგრამ უკანასკნელი პარტია იმდენათ ეპიზოდიურია, რომ ძნელია რაიმე ითქვას მის დადებითად შესრულებაზე).

სუსტია გუნდი და ანსამბლი (ტრიო და სეკსტეტი). ორკესტრი სრულებით არ იძლევა ფრანგულ მსუბუქ ლამაზ მუსიკის დამთავრებულ სახეს.

გაუგებარია რისთვის ამოიღეს არქივიდან ეს დახავსებული ოპერა. აქ საინტერესოა ტენორის პარტია (ფრა-დიავოლო), მაგრამ ამასთანავე აქ საჭიროა წინანდელ მსუბუქ შესრულების სტილი, როგორც ვოკალურ, ისე სცენიურ გადმოცემაში.

სამწუხაროთ უნდა ვსთქვათ, რომ ფრა-დიავოლოს პარტიის შესრულება მოქ. კავსაძის მიერ ვერ იყო ამოცანის სიმაღლეზე; ალბათ მსახიობს საჭიროთ არ მიაჩნია მეტი მონაწილეობა მიიღოს მოქმედების განვითარებაში სცენაზე. ძნელი გასაგებია, რატომ მოქ. კავსაძეს ვერ შეუგნია, რომ ასეთი გულგრილი დამოკიდებულება სცენისადმი ხელს უშლის არა მარტო ანსამბლს, არამედ მას ვნება მოაქვს თვით მსახიობისთვისაც. მომღერალს კი ტკბილი ტემბრის ხმა აქვს და ის დროგამოშვებით მოკლებული არ არის კანტილენასაც; მომღერალის ხმა მეტათ მოხდენილია ფრა-დიავოლოს პარტიისათვის.

მეტათ ლამაზად გარეგნულად და მუსიკალურათ ასრულებს ცერლინის პარტიას მოქ. კალანდაძე-აგასოვისა, მსახიობი მტკიცეა პარტიაში, ლამაზია ფრაზიროვკა. საჭიროა მომღერალმა ყურადღება მიაქციოს დიქციას.

ტიპიურებია იანს—ლედი პამელი და დემიანენკო — გრაფ როკბურგი (ინგლისელი ტურისტები) ორივე მომღერლებს დეტალურათ აქვს დამუშავებული თავიანთი პარტიები.

კარგი იყო მოქ. ისეცკი ჯაკომოს პარტიაში; აქ საჭიროა მსუბუქი ვოკალური შესრულება, განსაკუთრებით ტრიოში და დიალოგში. მოქ. ისეცკი სავსებით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას.

მოქ. კურბატოვი აშარჟებს ბეპპოს როლში.

მოქ. იგონინი ვერ იყო დამაკმაყოფილებელი ლორენცოს ეპიზოდიურ პარტიაში. მომღერალმა ყურადღება უნდა მიაქციოს ინტონაციას და საერთოდ განავითაროს ფრაზა, ხმოვანება და დიქცია.

მუსიკოსი.

— **„აბესალომ და ეთერი“ რუსულად.** კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს განზრახვა აქვს რუსულად გადათარგმნოს თავისი ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

— **აკაკი წერეთლის ნაწერების გამოცემა.** სახელმწიფო გამომცემლობამ გადასწყვიტა გამოსცეს აკაკი წერეთლის ნაწერები რამოდენიმე ტომად. წიგნები გამოცემული იქნება აკადემიური სახით.

— **ახალი გაზეთი.** 2 დეკემბერს, სახალხო სახლის იუბილეს, დღეს გამოვა საიუბილეო გაზეთი „სახალხო თეატრი“. გაზეთში მოთავსებული იქნება წერილები სახალხო სახლის შესახებ.

— **საბავშო თეატრი.** საბავშო თეატრის სეზონი, რომელიც უნდა გახსნილიყო 18 ნოემბერს, გაიხსნება 25 ნოემბერს.

— **„ქართული სიტყვა“.** სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი ამიერიდან გამოდის „ქართული სიტყვა“ სახელწოდებით, ნაცვლად „ივერიისა“.

— **რუსთაველის თეატრი.** ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება

მუშათა ცხოვრება

მუშის სიმღერა

(ძღვნად მელითონე შრომის გმირებს)

მე მუშა ვარ მღაროსი,
პიყვარს გრდემლი, რკინის ურო
და მინდა, რომ წმინდა შრომით
მე სიმართლეს ვემსახურო.
ფუფუნება მე არა მრწამს,
არცა მქონდა, არც მექნება,
სახში მყოფი მუქთახორა
შეჯავრება, მეზიზღება.
მე სიმდიდრეს არ დავეძებ,
თუმც ვარ ღარიბ-გამურული,
მხოლოდ მიყვარს წმინდა შრომა,
მარჯვე მკლავი, მტკიცე გული;
ჩემი შრომის ნაყოფითა—
ძღება ბევრი უსაქმური
და თან დამცინის „პარაზიტად"
მტერი, ხარბი, უმადური...
მაგრამ ჩემსა ნაოფლარსა
არ შევარჩენ მე არავის
და ამოვჟლიტ მუქთახორას,
თან გავმართავ შრომის ნადიმს:
ყველგან გავამეფებ შრომას;
ყველა მშრომელთ შევაერთებ;
ძალადობას, უსაქმობას
ყველგან მოვსპობ, ავაფეთქებ.
მანამდის ვერ დაისვენებს
ზიზღით სავსე ჩემი გული,
სანამ ქვეყნად, თუ გინდ ერთიც,
იარსებებს დაჩაგრული.
მინდა სასტიკ დიქტატურით,
გადავლეწო ბორკილები,
გადავყარო წყალში, ზღვაში
კერპები და გვირგვინები.
მუშა ვარ და მისთვის მიყვარს
ნამგალი და რკინის ურო
და მინდა რომ შრომის სამწყსოს
მე ერთგულად ვემსახურო!..

ლითონის გედი.

შრომის გმირთა საჯარო პატივისცემა

შ. წ. 14 ნოემბ. მელითონეთა კავშირის კლუბში გაიმართა სადღესასწაულო საღამო-წარმოდგენა. ამ საღამოს დაესწრნენ სრულიად საქართველოს მელითონეთა მე-4 ყრილობის დელეგატები და კლუბს სახელად ეწოდა „ამხ. ბაგრატ მაჩაიძის სახელობის კლუბი". სადღესასწაულო საღამო დაიწყო მილოცვებით შრომის გმირებისადმი, ამხ. პრეობრაჟენსკიმ წარმოსთქვა სიტყვა შრომის გმირების მიმართ და აღნიშნა, რომ თანახმად ადგილობრივ ქარხკომების და კულტუჯრედების, კავშირის და კულტუჯრედების კონფერენციის დადგენილებებისა, შეტანილი არიან წითელ დაფაზე როგორც მელითონე შრომის გმირები, შემდეგი მუშები: ბ. მაჩაიძე, ჩოდრიშვილი, ანუსი, რიბალკინი, პეტროვი, ზეიფერტი, სოსულკინი, შვარცი, კოვალსკი, ტკაჩენკო, მერგენტალერი. კრების თავმჯდომარე ახასიათებდა ყოველივე შრომის გმირს, როგორც მუშა-ვეტერანს, თან მოჰყავს მათი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. დამსწრე მუშები და ყრილობის დელეგატები უმართავდნენ შრომის გმირებს ოვაციებს და მეგობრულად ესალმებოდნენ ძვირფას ამხანაგებს. ამხ. პეტროვმა, შრომის გმირების სახელით მადლობა გადაუხადა მუშებს და კავშირს ყურადღებისათვის, და მოუწოდა ახალგაზრდობას ნაყოფიერ მუშაობისაკენ სალითონო დარგში წარმოების ასაყვავებლად და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

ამხ. ბაგრატ მაჩაიძის შესახებ ილაპარაკა დამსწრე ამხ. საგანგებო განყოფილებიდან, რომელმაც დაახასიათა ამხ. მაჩაიძე, როგორც ძველი რევოლიუციონერი—მებრძოლი მუშების საკეთილდღეოდ, და პროფესიონალური მუშაკი, მოიგონა მისი წარსული მოღვაწეობა. მილოცვების შემდეგ დაიწყო წარმოდგენა. არსენალის მუშების მიერ წარმოდგენილი იყო მხიარული ვოდევილი „პარტია-პურტია": რომლების ამსრულებელნი კარგი იყვნენ. პიესის შემდეგ დელეგატებისათვის გაიმართა კინემატოგრაფი; ნაჩვენები იყო შინაარსიანი სურათები, რითაც საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. კლუბი ამ საღამოს საგანგებოდ იყო მორთული და მოწყობილი.

გაუმარჯოს შრომის გმირებს, მელითონეებს! გაუმარჯოს მელითონეების სულის ჩამდგმელს, ამხ. ბაგრატ მაჩაიძეს!

მუშკორი მელითონე.

ცენტრალურ საქარხნო-საფაბრიკო ამხ. კამოს სახელობის სასწავლებელში

მას შემდეგ, რაც შრომის დაცვის კანონების აუცილებლობისათვის ზომები იქნა მიღებული, ხელოსნებმა თავიდან მოიშორეს შეგირდები ყოველნაირი ხრიკებით და ახალ შეგირდების აყვანაზე ხომ ლაპარაკიც არა სურთ. თავისთავად ცხადია, რომ ბევრი მუშების შვილები დარჩნენ ხელობის გარეშე. ამიტომ საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებელში („ფაბზავუჩი") ძალიან ბევრი მუშის შვილები იქნენ გამოგზავნილნი პროფესიონალურ კავშირების მიერ. სასწავლებელში შესვლისათვის საჭირო იყო გამოცდების ჩაბარება და ვინც უკეთესად ჩააბარებდა გამოცდებს, ის იქნებოდა მიღებული. სასწავლებელში არსებობს ორი განყოფილება ქართული და რუსული. მსურველნი სწავლისა აღმოჩნდნენ რუსულში ძალიან ბევრი, ვიდრე ქართულში. ქართულში მიღებულ იქნენ ყველანი, ვინც კი შესძლო ყველა გამოცდების ჩაბარება, რიცხვით 42 მოწაფემ. რუსულში საკმარისი არ აღმოჩნდა ერთი კლასი, ამიტომ გამგემ შუამდგომლობა აღძრა სახ. განათლების კომისარიატის წინაშე პარალელური კლასის გახსნის შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა და რუსულში არის ძირითადი და პარალელური კლასი. რუსულში მიღებულ იქნა 80 ბავშვი. მიმღები კომისია მეტად ფრთხილად იქცეოდა და ღებულობდა მხოლოდ მუშებისა და გლეხების შვილებს, განსაკუთრებით ულარიბეს ნაწილს იმ დროს, როდესაც სხვა სასწავლებლებში საზაფხულოდ ისვენებდნენ, ცენტრალურ „ფაბზავუჩ"-ში კი სწარმოებდა შეუწყვეტელი მუშაობა და სამზადისი მომავალ წლის გაფართოვებულ სწავლისათვის აქ ყველგან იმჩნევა ცოცხალი მოძრაობა. ყველგან ხედავთ გამოცდილ და დაკვირვებულ მეთაურების ხელს. მოწაფეებს და მასწავლებელთ შორის არსებობს ამხანაგური და ნდობითი განწყობილება. დისციპლინა დამყარებულია აქ არა შიშზე, არამედ შეგნებულ პატივცემაზე. თვით სასწავლებლის გამგეს, ამხ. ყამარაულს შეხვდებით ყოველ სახელოსნოში, საცა თვითონ, როგორც ხელოსანი ხელმძღვანელობს საქმეს. ის ამაცადინებს პოლიტიკურ ჯგუფებს და მუშაობს სხვა ხელოსან და მოწაფეებთან ერთად. ჩვენი მოსწავლეების სიხარულს საზღვარი არა აქვს, რომ მათი უფროსი ასე სამაგალითოდ მუშაობს. მოწაფე მუშები მეტად ხალისიანად მისდევენ პოლიტიკურ მეცადინეობას. საუკეთესო სანახავია აქაური პარტსკოლები. ყველა ჯანსაღები, მხიარულები არიან, ყველა ესენი არიან ულარიბესი მუშებისა და გლეხების შვილები, რომელთაც წინედ სასწავლებლის ეზოშიც არ ღირსებიათ შესვლა. ფიზიკურ და ჯანსაღებს, გონებრივად ამაღლებულთ, რევოლიუციონურად აღტაცებულებს უყურებ და სიხარულით გევსება გული და ეკითხები შენს თავს: ვის შეეძლო ჩვენი მომავალ იმედების ასე საუკეთესოთ დაწყობა, დაწინაურება, თუ არა პროლეტარიატის დიქტატურას. მომავალ წლისთვის საჭიროა გაფართოება ფაბზავუჩების ქსელის, რომელშიაც იზრდება ჩვენი პროლეტარული ახალგაზრდობა.

არტ. ფირ—ვი.

საჭიროა მთავრობის დახმარება

1917 წლიდან დაწყებული 1921 წლამდე, ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს წარმოების საქმე მეტად დაეცა, მხოლოდ 1922 წელში ის გაიზარდა მნიშვნელოვნად და მოგვცა 10,000 ფუთამდე თამბაქო, რაც ამ რაიონში თამბაქოს მოყვანის საქმის გაუმჯობესების დასაწყისად ჩაითვლება.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ იმ პოლიტიკურ-ეკონომიურ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა ამ რაიონში მუშებისა და გლეხების ერთმანეთთან დაახლოვებით და მჭიდრო კავშირის დაარსებით.

მენშევიკების რეჟიმის დროს ამ რაიონში გამოცხადებულ თამბაქოს მონაპოლიის გამო, გლეხობა (განსაკუთრებით რუსები), შექმნილ პირობების გამო იძულებული შეიქნენ უმნიშვნელო ფასში გაეყიდა თავისი თამბაქო და დაბრუნებულიყო რუსეთში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და თამბაქოს მონოპოლიის მოხსნის შემდეგ, იქაური გლეხკაცობა შედარებით კარგ პირობებშია ჩაყენებული და თამბაქოს მოყვანის საქმეც ფრიად გაუმჯობესდა.

რა გააკეთა თამბაქოს ტრესტმა?

მან სიღნაღის აღმასრულებელი კომიტეტის საშუალებით, მისცა იქაურ გლეხობას დიდძალი უპროცენტო დახმარება თამბაქოს დათესვის საქმეში გლეხების ეკონომიური პირობები გაცილებით უკეთ შეიცვალა. იმ დროს როცა შარშან დათესილი იყო მხოლოდ ასი (100) დესეტინა მიწა და მოყვანილ იქნა 10,000 ფუთი თამბაქო, ამ წელში გლეხებს საშუალება მიეცათ დაეთესათ 800—1000 დესეტინა და მოსავალიც არა 10,000-ით არამედ 70,000 ფუთით გამოიხატება, რაც მშვიდობიანობის დროის მოსულ თამბაქოს 70—80 პროცენტს შეადგენს და თითქმის უზრუნველყოფს თამბაქოს ტრესტს ნედლი მასალით.

თუ ახლა თვალს გადავავლებთ აფხაზეთის პლანტაციებს, დავინახავთ, რომ მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობამ აქაც ხანგრძლივ ვადიანი დახმარება მისცა გლეხობას, თამბაქოს მოსავალი აქ მშვიდობიანობის დროს 40—50 პროც. არ ასცილებია

ნუ დაგვავიწყდება, რომ აფხაზეთის თამბაქოს მოყვანაში ეხმარება მთელი რესპუბლიკა და ლაგოდეხს კი ვიწრო სამეურნეო ორგანო—თამბაქოს ტრესტი.

ლაგოდეხის გლეხობისათვის ასეთი დახმარების მიცემამ რა თქმა უნდა შეაფერხა ტრესტის საბრუნავი კაპიტალის მდგომარეობა და ახლა აუცილებლათ საჭიროთ მიგვაჩნია, მთავრობის მიერ თამბაქოს ტრესტისათვის დახმარების აღმოჩენა, რათა ამით ამ უკანასკნელს საშუალება ექნეს დროზე და საჩქაროთ შეისყიდოს გლეხებისაგან იქ მოყვანილი თამბაქო

მახხ.

უნდა დაისაჯოს ასეთი საქციელი

ტფილისის საარტილერიო საწყობის უფროსი ამხ. მარგორინი სცხოვრობს ცოლ-შვილით არსენალის რაიონის ცეცხლისმქრობელ რაზმის შენობაში. მას გაშვებული ჰყავს აქ ქათმები, ბატები, ინდოურები. ამ ფრინველების „წყალობით" ეზო მთლად მოსვრილი არის. ეზოს გამოგვა-გამოწმენდას ამხ. მარგორინი ავალებს ცეცხლის მქრობელი რაზმის მოსამსახურეებს. ამის წინედ დილას, როდესაც პირველი ჯგუფი მეორეს მორიგეობას აბარებდა, ამხ. მარგარინმა დაინახა, რომ მისი ოთახებიდან ეზოში გასავლელ კიბესთან ქათმის განავალი იყო. დაუძახა უფროს მემილე ცისკარიშვილს და გაჯავრებით შეეკითხა: „ეს რატომ არ არის გამოგვილი, მე შენ დაგითხოვ სამსახურიდანო".

21 ოქტომბერს დილის 9 საათზე ამხ. მარგორინი შევიდა ტელეფონის ოთახში და გაუჯავრდა მორიგე ტელეფონისტს: „ხმა მაღლა რათ ლაპარაკობ ტელეფონით, თუ არ გაიგონებებ სულ ნუ გასცემ პასუხს". ასეთი საქციელი საარტილერიო საწყობის უფროსისა არ არის მისაღები. ცეცხლის მქრობელი რაზმის ტელეფონის არის არსენალის რაიონის ცენტრალური ტელეფონის სადგური. როდესაც ტელეფონისტს ურეკავენ ტელეფონით, მორიგი ტელეფონისტი ვალდებულია მოკლედ გასცეს პასუხი, რადგანაც ერთ და იმავე დროს სხვადასხვა ადგილებიდან ურეკავენ. თუ მორიგე ტელეფონისტი კეთილსინდისიერათ არ ასრულებს მის მოვალეობას, უფროსმა უნდა გააფრთხილოს ის, არა თუ მას წინ ეღობებოდეს მოვალეობის ასრულების დროს. შინაური ფრინველები სრულიად არ უნდა იყოს აქ თუ იქნება პატრონმა უნდა მიიღოს ზომები ამ ფრინველებისაგან შექმნილ ანტისანიტარულ მოვლენების აღმოსაფხვრელად. ცეცხლის მქრობელ რაზმს კი სულ სხვა დანიშნულება აქვს.

მუშკორი ლოშკარი.

პირველად ამ სეზონში დ. კლდიაშვილის პიესები: „უბედურება" და „ირინეს ბედნიერება", რეჟისორი ა. ფალავა.

— **ახალი ყოველთვიური ჟურნალი „კავკასიონი".** მომავალ წლის 1—5 იანვრიდან ტფილისში გამოვა სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ფართე შინაარსიანი ჟურნალი „კავკასიონი", პავლე ინგოროყვას რედაქტორობით.

— **სახალხო სახლი.** ოთხშაბათს, 21 ნოემბერს, სახალხო სახლში რუსულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ჰაუპტმანის ცნობილი პიესა „დაძირული ზარი".

— **ხელოვანთა სასახლე.** 17 ნოემბერს, შესდგა სრ. საქ. მწერალთა მორიგი შაბათობა. მოხსენება წაიკითხა ალ. ქუთათელაძემ თემაზე: ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი"—„მინდიას ტრაღედია".

— **უცხოელი პოეტები.** ახლო ხანში გამოვა შალვა კარმელის მიერ თარგმნილი უცხო პოეტების:—მალარმეს, ლაფორგის, ბოდლერის, პოს, რემბოს და სხ. ლექსები. წიგნი დაახლოებით შეიცავს 80 გვერდს.

— **საღამო პერსი ბიში შელლის ხსოვნის აღსანიშნავად.** ამ დღეებში კონსერვატორიაში გაიმართება ინგლისის გამოჩენილ პოეტის პერსი ბიში შელლის ხსოვნის საღამო, ხმელთა შუა ზღვაში დაღუპვიდან ერთი საუკუნის შესრულების გამო.

— **ახალი პიესები.** დრამატურგმა პ. ირეთელმა დასწერა შემდეგი ახალი პიესები: „დანგრეული სამოთხე" 4 მოქმედებათ და „გენიის ცეცხლი" დრამა 5 მოქმედებათ.

— **სამტრედიის რკინიგზის მუშათა თეატრში.** სამტრედიის რკინის გზის მუშათა თეატრში გაიხსნა წარმოდგენების სეზონი. წარმოდგენილი იქნა „სურამის ციხე", მუშა-მოსამსახურეებისაგან შედგარ დასის მიერ. განზრახულია წარმოდგენების სისტემატიურათ გამართვა.

— **სამხატვრო აკადემია.** განათლების სახალხო კომისარიატმა დააკმაყოფილა მთავარ სახელოვნო კომიტეტის შუამდგომლობა რათა, სამხატვრო აკადემიის პროფესორთა საბჭოს მიეცეს ნება მოწაფეთა 10 პროცენტი გაანთავისუფლოს სწავლის გადასახადისაგან.

დღეს თეატრებში

— **რუსთაველის თეატრი.** „ცხვრის წყარო".

— **სახელმწიფო ოპერა.** „კარმენ".

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

ხაშურის განათლების მუშაკთა სახლის გახსნა

ოქტომბრის რევოლუციის 6 წლის თავის ზეიმს ქ. ხაშურში შეუერთდა კულტურული დღესასწაული: გაიხსნა ხაშურის რაიონის განათლების მუშაკთა სახლი, რომელიც უნდა იქცეს მასწავლებელთა კულტურული მუშაობის კერად, მათი ზოგადი თუ სპეციალური ცოდნის გამაფართოებელ დაწესებულებად.

საზეიმო სხდომის დარბაზი მორთული იყო წითელი დროშებით, რევოლიუციის ბელადების და პედაგოგების ბიუსტებით და სურათებით. საქ. გან. მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის სახელით საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. ალექსანდრე ქვაჭაძემ, რის შემდეგ მასწავლებელთა გუნდის მიერ, ი. რონინიშვილის ხელმძღვანელობით, შესრულებული იქნა ინტერნაციონალი. პრეზიდიუმში არჩეული იქნენ: თავმჯდომარედ ამხ. ილია ფირაძე, მის ამხანაგად ბ. ძნელაძე, მდივნებად ს. ლექვა, ნ. მაქაძე და პ. კაპანაძე. ამხ. ალ. ქვაჭაძის წინადადებით, საპატიო თავმჯდომარეებათ კრებამ ერთხმად აირჩია: ამხ. ლენინი, ლუნაჩარსკი, მიხა ცხაკაია, დ. კანდელაკი, მარიამ ორახელაშვილისა, შავერდოვა და ვ გეგეშიძე.

პრეზიდიუმის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. ილია ფირაძე, რომელიც ფართოდ აცნობს საზოგადოებას, თუ რა როლი უნდა ითამაშოს განახლებულმა სკოლამ არსებული წყობილების განმტკიცებაში და საზოგადოების ახალ საფუძველზე გარდაქმნის საქმეში. ამის შემდეგ მოსმენილ იქნა მისასალმებელი დეპეშები—განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობისაგან, განათლების მუშაკთა ცენტრალური სახლის გამგეობისაგან და ხაშურის რაიონის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირის გამგეობისაგან.

ხაშურის რაიონის განათლების მუშაკთა კავშირის ადგილკომისა და სახლის ბიუროს სახელით, სახლის დაარსებაზე გაწეულ მუშაობის შესახებ, მოხსენებას აკეთებს ამხ. ირ. ფირაძე, რომელიც სხვათა შორის აღნიშნავს იმ ყურადღებას და თანაგრძნობას, რითაც მთავრობის და პროფესიონალური ორგანოები ხელს უწყობენ ამ ფრიად მნიშვნელოვან კულტურული საქმის მოგვარებას, მაგ., გ. მ. კ. ც. გამგეობამ სახლს შემოსწირა ნახ. მილიარდი მან. ღირებული წიგნები, გორის აღმასკომმა—50 ფუთი ხორბალი, განათლების კომისარიატმა აღუთქვა დიდი დახმარება და სხვ. განსაკუთრებული მზრუნველობა ამ საქმის მოგვარებაში გამოიჩინა ქ. ხაშურის აღმასკომმა, რომელმაც სახლს უფასოდ დაუთმო შესაფერი ბინა გათბობა-განათებით და აღუთქვა, რომ ის შემდეგშიაც აღმოუჩენს ყოველგვარ დახმარებას. მოხსენების შემდეგ, მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: ხაშურის რაიკომის სახელით—ამხ. ვ. გეგეშიძე, აღმასკომის სახელით ამხ. გ. აბრამაშვილი, გორის გან. მუშ. კავშირის სახელით ამხ. შ. გუთიკაშვილი, რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის სახელით—ამხ. ა. ქებაძე, რკინის გზის კავშირის კულტურულ-განყოფ სახელით—ამხ. ალ. სეფერთელაძე, გლეხების სახელით ამხ. ტ. ბუხრიკაძე, ახალგაზრდათა კომკავშირის სახელით—ამხ. საყვარელიძე, რკინის გზის ტეხნიკურ კურსების სახელით ამხ. ბარეგიანი და ხაშურის ტეხნიკუმის მოწაფეების თვითმართველობის სახელით ალ. ჯაფარიძე.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ მოხსენებას აკეთებს გაბრიელ გოგუაძე განათლების მუშაკთა სახლის მნიშვნელობის შესახებ; მან გააშუქა მთავარი პრობლემები პედაგოგიურ აზროვნებასა და პრაქტიკაში, შეეხო თანამედროვე პედაგოგიურ მიმდინარეობებს და დასკვნა გააკეთა, თუ რა დიდი როლი უნდა ითამაშოს განათლების მუშაკთა სახლმა მასწავლებლობის გათვითცნობიერების საქმეში, მათი ცოდნა-გამოცდილების გაფართოებაში როგორც საზოგადო, ისე სპეციალურ პედაგოგიურ მეცნიერების სფეროში.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ილ. ფირაძემ უსურვა სახლს ნაყოფიერი მუშაობა და მისი დიადი დანიშნულების ღირსეულად შესრულება. სხდომა დაიხურა ღამის 12 საათზე ინტერნაციონალის სიმღერით.

Recuro

ახალციხე

ახალციხის მაზრაში 1923 წლის განმავლობაში მრავალი აღმშენებლობითი ხასიათის მუშაობა სწარმოებდა და სწარმოებს. მე შევეხები ეხლა მხოლოდ ერთ წამოწყებას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაზრისათვის.

მე ვლაპარაკობ ახალციხის მაზრაში ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აშენებაზე.

ქ. ახალციხიდან სამი ვერსის მანძილზე შენდება ჰიდრო-ელექტრონული სადგური 150 ცხენის ძალით. ამ სადგურს შეუძლია გაანათოს ქალაქი, შვიდი ვერსის რადიუსის მანძილზე სოფლები, აამუშავოს სხვადასხვა ხასიათის ქარხნები, მაგ. სახერხის ქარხანა, წისქვილები, ერბოს სადღვები, კონსერვების ქარხანა, ხმელი ხილის საშრობი და სხვა. მუშაობა ქარხნის დასრულებისათვის სასწრაფოთ მიმდინარეობს, მაგრამ მისი საბოლოო მოწყობა ვერ მოესწრება კიდევ 8 თვეზე ადრე, რადგან ჩვენ მიერ დაკვეთილ მექანიკურ ნაწილების დამზადებას პეტროგრადისა და მოსკოვის ტრესტები ვერ მოასწრებენ ექვს თვეზე ადრე.

ახალციხის აღმასკომმა დაადგინა, ვიდრე დიდი სადგური დასრულდებოდეს, მანამდე მოაწყოს დროებითი სადგური ქალაქის განათებისათვის. ამ მიზნით გამოყენებულია ქალაქში მდებარე პატარა სახერხე ქარხან რომლის მოტორი წყლით მოქმედობს. ელექტრონის გამტარებელი მავთულები უკვე შეძენილია, არმატურას ორ-სამ დღეში გადავგზავნით; ბოძემოწყობა მის უკვე სწარმოებს ასე, რომ სამი კვირის განმავლობაში ახალციხის აღმასკომი აამოქმედებს თავის დროებით პატარა ელექტრო-სადგურს და ქალაქი ელექტრონის სინათლით განათდება.

სხვათა შორის, აღმასკომს აქვს მიზნათ აღძრას შუამდგომლობა, სადაც საჭიროა, რათა გაყვანილ იქნას ელექტრო-ტრამვაი ბორჯომ—ახალციხე—აბასთუმანამდე და ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნას ბორჯომის, ახალციხის და აბასთუმნის ჰიდრო-ელექტრონული სადგურები. ელექტრო ტრამვაის გაყვანა ბორჯომ-აბასთუმნამდე ძალიან ბევრი არ დაჯდება მაშინ, როდესაც მას აქვს უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა ჩვენი მდიდარი, ჯერ კიდევ ხელუხლები, მაზრისათვის—ერთის მხრივ და მეორეც, აბასთუმანი, როგორც კურორტი, ღირსეულათ აყვავდება და გადაიქცევა ფაქტიურათ საერთაშორისო კურორტათ.

ე. ხ.

ჩვენი ფოსტა

ა. ხუცხელს—მივიღეთ. წავა გაზ. „კომუნისტი"-ს ლიტერატურულ დამატებაში, რომელიც გამოვა კვირას. „წითელი ორთქლმავალი" არ მიგვიღია. გამოგზავნეთ თუ გაქვთ ასლი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

დამზღვევ კასათა პუნქტების და რწმუნებულების შესახებ.

1. სოციალური დაზღვევის გატარებისათვის იმ ადგილებში, სადაც, დაზღვეულთა სიმცირის გამო, ცალკე კასების მოწყობა შეუძლებელია, დაარსებულ უნდა იქნან დაზღვევის პუნქტები ან რწმუნებულთა თანამდებობანი.

2. დაზღვევის პუნქტები და რწმუნებულთა თანამდებობანი შეიძლება დაარსებულ იქნან როგორც ცალკე წარმოებასთან (დაწესებულება, მეურნეობა), ისე ამა თუ იმ რაიონში, რომლის ფარგლებში იმყოფებიან სხვადასხვა წვრილი წარმოება-დაწესებულებანი.

3. დაზღვევის პუნქტები და რწმუნებულთა თანამდებობანი შეიძლება დაარსებულ იქნან იმ რაიონებში ან წარმოებათა დაწესებულებებში, რომელნიც დაშორებული არიან დამზღვევ კასიდან არა ნაკლებ 5 (ხუთი) ვერსით.

4. დაზღვევის პუნქტის დაარსება შეიძლება იმ პირობით, თუ დაზღვეულთა რიცხვი არა ნაკლებ 200-დან 1000-მდეა.

5. რწმუნებულთა თანამდებობანი არსდება იმ რაიონებში ან და წარმოება-დაწესებულებებში, სადაც არა ნაკლებ 50-დან 200-მდე დაზღვეულია.

6. სარაიონო დამზღვევ პუნქტის გამგე და რწმუნებული ინიშნებიან დამზღვევ კასის მიერ, ადგილობრივ პროფკავშირების გამგეობებთან შეთანხმებით; ცალკე წარმოებაში რწმუნებულის დანიშვნა ხდება სათანადო საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტთან შეთანხმებით.

7. დაზღვევის პუნქტთან შესაძლოა მოწყობილ იქნეს მცირე ტეხნიკური აპარატი, რომლის შტატი, გამგესთან ერთად, არ უნდა აღემატებოდეს სამ (3) თანამშრომელს; რწმუნებულებთან კი არავითარი ტეხნიკური აპარატი არ არსებობს.

დამზღვევი პუნქტების მოვალეობას შეადგენს:

დროებით შრომის უნარის დაკარგვის და დამატებითი ხარჯებით დაზღვევის უზრუნველყოფის დარგში:

ა) „ბიულეტენების" და მოწმობების მიღება ფეხმძიმობის, მშობიარობის და სიკვდილის გამო.

ბ) დახმარებათა დანიშვნა უდავო შემთხვევებში.

გ) საეჭვო შემთხვევებში ავადმყოფთა მოწმობების გადაცემა დამზღვევ კასისათვის.

დ) დახმარებათა გაცემა იმ ავანსებიდან, რომლებსაც დამზღვევი კასა იძლევა და უკანასკნელისათვის ანგარიშების და საბუთების წარდგენა, გაწეულ ხარჯების შესახებ.

ე) კანტროლის გაწევა დროებით შრომის უნარ დაკარგულთათვის.

ქვრივ ობლებთა და ინვალიდთა უზრუნველყოფის დარგში.

ა) პენსიაზე ჩარიცხვის შესახებ განცხადებების და საბუთების მიღება იმ პირთაგან, რომელთაც საამისო უფლება აქვთ სოცდაზღვევის კანონების მიხედვით.

ბ) მიღებულ მოწმობების გადაცემა დამზღვევ კასისათვის.

გ) თანახმად კასის მოწერილობისა განცხადების შემომტანის სათანადო საექსპერტო ორგანოში გაგზავნა.

დ) საჭირო შემთხვევებში განცხადების შემომტანის ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის გამორკვევა.

ე) დამზღვევი კასიდან მიღებულ საპენსიო წიგნაკების ან მაგიერი მოწმობების დარიგება.

ვ) დამზღვევ კასისაგან მიღებულ თანხებიდან და კასის მიერ შედგენილ უწყებების მიხედვით პენსიების დარიგება.

უმუშევართა უზრუნველყოფის დარგში.

ა) განცხადებების და სათანადო მოწმობების მიღება კვალიფიკაციის, დაქირავებითი მუშაობის სტაჟის და სხვ. შესახებ.

ბ) მიღებულ მოწმობების გადაცემა დამზღვევ კასისათვის.

გ) დამზღვევი კასისაგან მიღებული თანხებიდან და კასის მიერვე შედგენილ უწყებების თანახმად—დახმარებათა გაცემა.

დ) უმუშევართათვის კანტროლის გაწევა.

8. ზემოაღნიშნულ ფუნქციების გარდა დამზღვევი პუნქტების გამგებლობაში შედის:

ა) თავის მოქმედების რაიონში მყოფ წარმოება-დაწესებულებათა და მეურნეობათა აღრიცხვა; ხოლო იმ წარმოება-დაწესებულებათა შესახებ, რომლებზედაც რაიმე მიზეზის გამო, არ გავრცელებულა სოცდაზღვევა, დამზღვევ კასისათვის შეტყობინება.

ბ) დაზღვევის გადასახადის თავის დროზე და სისწორით შემოტანისათვის თვალყურის დევნება.

გ) საკრედიტო დაწესებულებებიდან დაშორებულ ადგილებში დაზღვევის გადასახადის აკრეფა და ამ უკანასკნელის, არა უგვიანეს ერთხელ ყოველ ორი კვირის განმავლობაში, სათანადო საბუთებით დამზღვევ კასაში შეტანა.

დ) სოცდაზღვევის დარგში საჭირო ცნობების მიწოდება როგორც დამზღვევთათვის, აგრეთვე დაზღვეულთათვის.

ე) დაზღვეულთა სამკურნალო დახმარებისათვის თვალყურის დევნება და მონაწილეობის მიღება მის გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად.

ვ) დამზღვევ კასების სხვადასხვა დავალებათა აღსრულება.

9. რწმუნებულთა მოვალეობას შეადგენს.

ა) დროებითი შრომის უნარის დაკარგვის, ინვალიდობის, უმუშევრობის, დედობის, ქვრივ-ობლობის და სიკვდილის შემთხვევებში სოცდაზღვევისათვის ყველა საჭირო მოწმობების მიღება და მათი გადაცემა დამზღვევ კასისათვის.

ბ) დამზღვევი კასისაგან მიღებული თანხებიდან და კასის მიერვე შედგენილ უწყებების თანახმად—დახმარებათა და პენსიების გაცემა.

გ) დაზღვევის გადასახადის თავის დროზე და სისწორით შემოტანისათვის თვალყურის დევნება.

დ) დამზღვევი კასის სხვადასხვა დავალებათა აღსრულება.

10. დამზღვევი პუნქტების მუშაობა სწარმოებს ნორმალურ სამუშაო დროის განმავლობაში, ყოველდღიურად ან კვირაში განსაზღვრულ დღეებში და მათ სამუშაო ჯილდოს ანაზღაურებს დამზღვევი კასა.

11. რწმუნებულთა სამუშაო დრო და აგრეთვე მათი ხელფასის მოგვარება ევალება ადგილობრივ დამზღვევ კასებს (იხ. ცალკე ინსტრუქცია).

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო მომისარის მოადგილე ა. მ ი ქ ა ძ ე.
რესპ. სოცდაზღვევის სამმართველოს უფრ. მაგიერი ნ. თ უ შ ი შ ვ ი ლ ი.
საორი.-საინსტრ. განყ. გამგე ს. კ ი ლ ა ძ ე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— პროლეტარ სტუდენტთა დამხმარე კვირეულის მომწყობი ცენტრალური კომისია იწვევს ხსენებულ „კვირეულის" შესახებ თათბირზე გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ს, „კომუნისტი"-ს, „რაბოჩაია პრავდა"-ს, „მუშის", „მარტაკოჩ"-ის, და „ენი-ფიკირ"-ის რედაქტორებს,—სამშაბათს, 20 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ცენტრალური კომისია.

— პროლეტარულ სტუდენტთა დამხმარე კვირეულის გამმართველი ცენტრალური კომისია აუწყებს აღნიშნულ კომისიის მუშაობაში ყველა მონაწილეთ, რომ კომისიის მეორე გაფართოებული სხდომა ამხ. ორჯონიკიძის თავმჯდომარეობით მოხდება სამშაბათს, 2 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, სახალხო კომისართა საბჭოს დარბაზში. ყველას დასწრება სავალდებულოა. გთხოვთ არ დაიგვიანოთ.

ცენტრალური კომისია.

— პროლეტარ სტუდენტთა დამხმარე კვირეულის მომწყობი ცენტრ. კომისია სამშაბათს, 20 ნოემბერს, დილის 11 საათზე, ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში, ნიშნავს სხდომას პროლეტარ სტუდენტთა სასარგებლოდ, საღამოების, წარმოდგენების და კონცერტების მომწყობ ქვეკომისიათა სხდომას:

მოიწვევიან: განათლების სახალხო კომისარი ამხ. კანდელაკი, სახელმწიფო კინოს მხრივ—ამხ. ვირაპი, ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილებისა, წარმომადგენელი პროლეტკულტისა, პოლიტ-განათლების გამგე—ამხ. გურგენიძე, აკადემიური თეატრების დირექტორი—ამხ. სვიმონიშვილი და ცირკის დირექტორი—მოქალაქე ტანტი.

ყველას დასწრება სავალდებულოა.

ცენტრალური კომისია.

— **მე-2 სარაიონო კომიტეტი** იუწყება, რომ ოთხშაბათს ამა ნოემბრის 21-ს საღამოს 6 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის ბინაზე შესდგება მე-2 რაიონის წევრთა და კანდიდატების საზოგადო კრება.

დღის წესრიგი: 1. მე-2 სარაიონო კომიტეტის ანგარიში (ნაზაროვი).
2. მე-2 სარაიონო კომიტეტის არჩევნები.
3. მიმდინარე საქმეები.

ყველა წევრისა და კანდიდატის დასწრება სავალდებულოა. 15 წუთით დაგვიანებული ამხანაგები რეგისტრაციაში გატარებულ არ იქნებიან.

მდივნის მაგიერი ნ ა ზ ა რ ო ვ ი.

— **საქ. კომ. პარტიის ტფ. ორგანიზაციის მე-2 სარაიონო კომიტეტი** იუწყება, რომ ქვემო-დასახელებულმა პირებმა განცხადება შეიტანეს კომუნისტურ პარტიაში შესვლის შესახებ.

მე-2 სარაიონო კომიტეტი სთხოვს იმ ამხანაგებს და პირებს, რომლებსაც აქვთ რაიმე მამხილებელი საბუთები ქვემოდასახელებულ ამხანაგების შესახებ, წარმოადგინონ ეს მასალა სარაიონო კომიტეტში (მიხეილის პროსპექტი, № 96) ამა ნოემბრის 31 რიცხვამდე:

1. სარქისოვი სერგეი—ფეხსაცმელის დამამზადებელი („ზაგოტოვშჩიკი");
2. ვერემეიჩიკოვი ივანე. საექიმო-სასანიტარო მუშაკთა კავშირის მუშა.
3. ვერდენკო ადოლფი—„ტრამოტზ-ი (მუშა.)
4. მურადიანი ხაჩატური—ფეხსაცმელის ხელოსანი.

მდივნის მაგიერი ნ ა ზ ა რ ო ვ ი.

პროფკავშირული.

— პროფკავშირთა საბჭო და საქ. კომ. პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 რაიონის კომიტეტი იუწყებიან, რომ [illegible] ამა ნოემბრის 20-ს საღამოს 6 საათზე მთლიან მუშათა კოოპერატივის შენობაში (კამოს ქუჩა, მე-3 სართული) შესდგება მე-2 რაიონის ადგილკომებისა და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის კონფერენცია სამეურნეო ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

დღის წესრიგი: 1. ამხ. ჰინსბურგის მოხსენება: „რ. კ. პ-ის მე-12 ყრილობის დადგენილებებთან დაკავშირებული მრეწველობის უახლოესი ამოცანები".
2. ამხ. ჟუღელის მოხსენება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის და ადგილკომების მუშაობის შესახებ.
3. თამბაქოს ტრესტის თავმჯდომარის ამხ. კორონაშვილი მოხსენება.
4. ამხ. იერომაშვილის მოხსენება.

კონფერენციას უნდა დაესწრონ მე-2 რაიონის შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის და ამავე რაიონის წარმოება-დაწესებულებათა ადგილკომების მთელი შემადგენლობა და აგრეთვე შემდეგი ამხანაგები: ყოჟიკაშვილი, ავაქოვი, დათუნოვი ივანე, კორონაშვილი, ბორკონი, კილაძე, ძაგანია, გრისთავი, ქუჩაიძე, ბალტინი, ყრჭმაიშვილი, ვაშაძე, აღ [illegible] ნასიევი, ჟვანია, სტურუა, იეზბაშევი (სახელმწიფო ღვინის ტრესტიდან), ლიპუმა [illegible] ტოროშელიძე მალ-ქია, იეზბაშევი (ჰოლენძის ქარხნიდან), არხიმანდრიტოვი, [illegible] ისააკია, მზარეულაშვილი, მელაძე, იერომაშვილი, ბოჭორიშვილი, ფრიდონოვი, [illegible] გრიგორიანი, ასათიანი („სტროი-სანტეხ"-იდან), დიასამიძე, ტიგიშვილი, გურინ [illegible] (ავტო-სახელოსნო № 3), ლობჟანიძე („კუსტპრომ"-იდან).

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი ყ უ რ უ ლ ა შ ვ ი ლ ი.
მე-2 სარაიონო კომიტეტის მდივანი ნ ა ზ ა რ ო ვ ი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის ბიბლიოთეკა სთხოვს ყველა ამხანაგებს, რომლებმაც თავის დროზე არ დააბრუნეს სამკითხველოში წაღებული წიგნები, დააბრუნონ ისინი ბიბლიოთეკას არა უგვიანეს 20 ნოემბრისა ნაშუადღევის [illegible] საათიდან საღამოს 7 საათამდი.

ბიბლიოთეკის გამგე პ ა ვ ლ ე ნ კ ო

განათლების მუშაკთა სახლში.

— სამშაბათს, 20 ნოემბერს, საღ. 7 საათ. ისტორიულ მატერიალიზმის წრის მეცადინეობა ამხ. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე შ ი უ კ ა შ ვ ი ლ ი.
კავშირის საქმეთა მმართველი ბ ა რ ა მ ი ძ ე.

განცხადებები

გამოვიდა და იყიდება წიგნების ყველა მაღაზიებში ქართული ენის სახელმძღვანელო შრომის სკოლის მესამ წლისათვის

ტრ. თაბუკაშვილი

განთიადი ნაწილი I.

„წითელი წიგნი"-ს გამოცემათა მთავარი საწყობი ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 8, ტელ. 7—54.

ბითუმად დამკვეთთ ჩვეულებრივი ფასდაკლება:

მოითხოვეთ ყველა წიგნის მაღაზიებში და კიოსკებში

739—1—1

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებების და ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ მოსკოვის ჟურნალ გაზეთებზე ხელის მოწერა დეკემბრის თვისთვის იწყება 20 ამა ნოემბრიდან და გრძელდება 29 ნოემბრამდე, რის შემდეგ შეწყვეტილი იქნება ხელის მოწერის მიღება.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ექსპედიცია, წინდაწინვე აცხადებს რა ზემოაღნიშნულს, სთხოვს ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომ წინდაწინვე მოაწერონ ხელი დეკემბრისათვის, რადგან დანიშნულ ვადის შემდეგ ექსპედიცია ხელის მოწერას არ მიიღებს.

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგე: ა. ჩეჩელაშვილი.

734—3—3

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია

ამით აცხადებს ტფილისის ყველა გაზეთების პროვინციალურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ შემდეგს: ვინაიდან გაზეთები დღემდის იგზავნებოდა პროვინციაში ფოსტის საშუალებით, ხშირი იყო შემთხვევა, როცა გაზეთების ხელის მომწერლები [illegible] ბით და ხშირად კიდევაც იკარგებოდა, რაც ბადებდა უთანხმოებას როგორც ხელის მომწერთა და გაზეთების კანტორების შორის, აგრეთვე კანტორებსა და და ექსპედიციის შორის. ამიტომ ექსპედიციამ საჭიროდ სცნო და შეუდგა პროვინციის ხელის მომწერლებზე გაზეთების დარიგებას თავისი აგენტების საშუალებით, რისთვისაც ექსპედიცია სთხოვს პროვინციის ხელის მომწერთ, რათა მიიღონ ცნობისათვის, რომ ექსპედიციას ჰყავს თავისი აგენტები ყველა ქალაქებში, დაბებში და აგრეთვე დიდ სადგურებზე წიგნებ-ჟურნალ-გაზეთების მოვაჭრენი, რომლებსაც მსურველთ შეუძლიათ მიმართონ:

1. ქალაქ ქუთაისში	წიგნის მაღაზია	ტყაბლაძე.
2. ქალაქ ლანჩხუთი	აგენტი	შრუშაძე.
3. ახალსენაკი	"	ესებუა.
4. აბაშა	"	მიქაძე
5. ხონი	"	ბალდამაძე.
6. ფოთი	"	ძადაბიშვილი.
7. თელავი	"	ჩიტოშვილი
8. ჭიათურა	"	თოდრია
9. სადგ. ბათომი	"	ნიკოლაიშვილი
10. ქალაქი გორი	"	მამაგარიანი
11. " სამტრედია	"	ახობაძე ან ანდრეევა
12. " ოზურგეთი	"	პოლიტ. განყ. გამგე ბარამიძე.
13. " ხუფხა	"	ტაბიძე
14. დაბა ჩოხატაური	"	ცინცაძე
15. ქალაქი სიღნაღი	"	თევდორაშვილი
16. სადგ. ხაშური	"	ფოველი
17. ქალაქი ბორჯომი	"	თაქთაქიშვილი
18. სადგ. ყვირილა	"	ცხომელიძე
19. " შორაპანი	"	გველესიანი
20. სადგ. ხარაგოული	"	მუშათა კოოპერატივი.
21. ქალაქი ზუგდიდი	"	სამაზრო კომიტეტი

ექსპედიცია განმეორებით სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, ვინაიდან ზემოაღნიშნული პირები ვალდებულნი არიან მიაწოდონ ხელის მომწერთ მათ მიერ გამოწერილი გაზეთები თავიანთ ბინებზედ დაწესებულებებ-ორგანიზაციებში, მოსთხოვონ აგენტებს მიზეზი გაზეთების არმიღებლობისა, თუ ასეთს ექნება ადგილი. გთხოვთ აცნობოთ ექსპედიციას ყოველივე გაზეთის დაგვიანება უშუალოდ შემდეგი მისამართით:

ტფილისი, რუსთაველის პროსპ. № 26. ტელ. № 5—43.

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგე ჩეჩელაშვილი.

კრ. 736 3—2

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით [illegible]

მიხეილ ბედევანიშვილის [illegible]

[illegible] ექიმობს საჭიროებენ

სამკურნალო [illegible] ექ. სვიმონ ქიფშიძის [illegible]

[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20. (126 25 9)

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობს

ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

78 25—20

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 89 მოცემული მუხიანის რაიონში ამბერკი სპირიდონის ძე არეშიძეს სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 161 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მოცემული ჩოხატაურის რაიონიდან და სამხედრო აღრიცხვის ბარათი, მოცემული სამხედრო კომისარიატიდან ვიქტორ მეგრელიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 162—1—1

„ზარია ვოსტოკას" სტამბა [illegible] № 4.